

# სიამაურთღის სიამა



№ 30

ყოველკვირული ჟურნალი

№ 30

რედაცია და კანტორა

ტფილისი, აღმასკომი, ოთახი № 52

ფ ა ს ი

5 კაპ. ბაჯალლო ოქროთი

რედაცია და კანტორა

ლია ა. ყოველდღე { დილის 8-1  
სალამოს 3-5 -დღ.  
კვირა-უქმე დღეს 10-3 ს.დღ.

## კოლმეცნიერული პრიზისი საზ- რანგეთში და გერმანიისში.

ჩვენ არ გვაკვირვებს ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც აგერ ერთ წელზე მეტია, რაც გერმანიისში არსებობს. არ გვაკვირვებს იმიტომ, რომ ასე თუ ისე გერმანიისში თუმცა ბურჟუაზიულმა, მაგრამ მაინც რევოლუციის გრიგალმა გადაიარა და ძირ-ბუღიანად შეიანგრიც არსებული რეჟიმი. აქ, რასაკვირველია, არ ვეხებოდით იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაცია. ჩვენ მხოლოდ შედარებისათვის მოგვყავს ეს მომენტი.

მაგრამ ის ამბები, რომელიც ახლა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, უსათუოდ უჩვეულოა პარლამენტარისების დედა ქვეყნისათვის.

რაშია საქმე?

როგორც მკითხველებმა იციან, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა ეგრედ წოდებული ნაციონალური ბლოკი: მსხვილი კაპიტალისტები და მემამულეები, გაიმარჯვა მემარცხენეთა ბლოკმა, ანუ წვრილ ბურჟუაზიულმა პარტიებმა, სოციალისტებმა და კომუნისტებმა მართალია საფრანგეთის კომუნისტები არც ერთ ბლოკში არ შედიან, მაგრამ საკუთრების დროს მემარცხენეთა ბლოკს დაუჭერენ მხარს ნაციონალური ბლოკის წინააღმდეგ, ისე კი პარლამენტში ისინი აწარმოებენ საკუთარ და მოუკიდებელ პოლიტიკას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მემარცხენეთა ბლოკს აქვს სულ 30 ხმით მეტი, ვიდრე ნაციონალურ ბლოკს.

აი როცა ასეთი დამარცხება განიცადა პუანკარეს მომხრეებმა, პუანკარე, როგორც პარლამენტარული წესი და რიგი მოითხოვს, გადადგა. შეიქმნა მთავრობის კრიზისი. სოციალისტებმა იმსჯელეს იმაზე შევიდეთ თუ არა მთავრობაში და დაადგინეს ჯერ ნუ შევალთო.

პრეზიდენტმა მილერანმა მთავრობის შედგენა მიანდო რადიკალ-სოციალისტების ლიდერ ედუარდ გერიოს.

ამასობაში კომუნისტებმა და მემარცხენეთა ბლოკმა მოითხოვა მილერანის გადადგომა.

— ისიც უნდა გაჰყვეს პუანკარესო.

მილერანმა კი უარი განაცხადა გადადგომაზე და ერიომაც მოიხსნა თავიდან მთავრობის შედგენა.

ამის შემდეგ მილერანმა მთავრობის შედგენა მიანდო პუანკარეს კაბინეტის ყოფ. ფინანსთა მინისტრ მარსალს, რომელიც მსხვილი ფინანსისტების წარმომადგენელია. მარსალმა მთავრობა შეადგინა, მაგრამ ის მთავრობა მეტად უდღეური გამოდგა.

პირველი გამოსვლა პალატაში და ხუხულასავით დაინგრა მარსალის მთავრობა. ეს არ იყო მოულოდნელი ამბავი. იმ ჯგუფს, რომელსაც პარლამენტში უპირისპირება ჰყავს, ცხადია არ შეუძლია მთავრობის არსებულ პარლამენტარულ პირობებში.

და დაეცა მარსალის მთავრობა.

როგორც ღვეშები გვაუწყებენ, უნდა დაეცეს პრეზიდენტი მილერანიც.

მისი უკანასკნელი ცდა პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნებისაკენ მიმართული მარცხით დამთავრდა. აქი თვითონაც განაცხადა მარსალის მთავრობის გადადგომის შემდეგ მეც წავაილო.

უნდა წავიდეს, სხვა გზა არა აქვს.

პარასკევს უნდა მომხდარიყო ახალი პრეზიდენტის არჩევა.

მთავრობის შედგენა და გაძლოლა ისევ ერიოს უნდა მიენდოს.

ჩვენ, როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, ერიოს ჩადგომა საფრანგეთში არსებითად ეს იქნება პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელება სარგმარაკიო და სხვა საკითხებში, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიმართ ერიომ უსათუოდ უნდა აწარმოვოს ლოიალური პოლიტიკა და ხელი აიღოს იმ მტრულ და შეურთებელ პოზიციაზე, რომელზედაც იდგა პუანკარეს მთავრობა.

ეს ასეც უნდა მოხდეს. ამის ნიშნები უკვე არის.

ახლა ორიოდ სიტყვა გერმანიის ახალ მთავრობის შესახებ.

გერმანიას, როგორც უკვე ვიცით, ისევ მარქსის მთავრობა დაუბრუნდა. რამოდენიმე ხნის წინეთ ეს მარქსის მთავრობა გადადგა იმიტომ, რომ არჩევნებში დამარცხდნენ შუათანა პარტიები, რომლებზედაც ეს მთავრობა ემყარებოდა. ეს დამარცხებული და გადაძვარი მთავრობა კვლავ უდგება გერმანიას სათავეში.

ესეც არ შეეფერება პარლამენტის ძალთა განწყობილებას.

ცხადია მარქსია მთავრობაც უდღეური გამოდგება და მალე განახლდება გერმანიაში პოლიტიკური ოთურებები.

ყველაფერ ამის შემყურე მუშათა კლასს შეუძლია სთქვას:

ჩამოდგეთ!

Как ни садитесь, вы в мушканы не годитесь!



### კოოპერაციის რული ვაჭრობაში.

საბჭოთა ქვეყნებში კოოპერაციას ეკისრება უდიდესი როლი. ის უნდა გახდეს სოციალისტური ეკონომიკის ფუძედ.

ამ ჟამად მრეწველობა თითქმის სხესებით სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფო აწარმოებს და ქმნის. ხოლო ამ ნაწარმოების მომხმარებლისათვის მიტანას ვერ ახერხებს.

ამას წინედ ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევა. გამოქვეყნებულ ცნობებიდან ჩვენ დაინახეთ, რომ თითქმის 90% ვაჭრობისა კერძო კაპიტალის ხელშია. სახელმწიფოს ორგანოები: ტრესტები და სინდიკატები პირდაპირ დანაშაულს სჩადიოდნენ ხალხის წინაშე. ისინი კერძო კაპიტალს უფრო მეტ უპირატესობას აძლევდნენ, ვანემ კოოპერაციას.

ამ მოვლენის ახსნა არ შეიძლება არც იმ კრიზისით, რომელიც არსებობდა გასაღების სფეროში და არც სხვა რაიმით.

თითქმის სისტემატიურად ქვეყნდება ჩვენს პრესაში კოოპერაციის ხელმძღვანელთა მიერ ცნობები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები გულგრილად ეპყრობიან კოოპერაციას.

ყოველად დაუშვებელია ის დაპირდაპირება, რომელიც ამ ორ ორგანიზაციას შორის თავს იჩენს ხოლმე.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რ. კ. შარტიის მე-13-ე ყრილობამ და დაადგინა: სავაჭრო-კომერციული ურთიერთობა კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობის და მის ორგანოებს: ტრესტებსა, სინდიკატებსა შორის უნდა დაყრდნობილ იქნას კოოპერაციისათვის დახმარების, საქონლის კარგი ასორტიმენტის (შეშუტი) და კრედიტის შეღავათიან პირობებში მიცემის საფუძველზე. წერილი ვაჭრობა, როგორც წესი უნდა გახდეს კოოპერაციის საქმედ მის გამაგრების დამხმარებელი.

სახელმწიფო მრეწველობა უნდა შეუთანხმდეს კოოპერაციას იმ საქონლის შესახებ, რომლის წარმოებას უფრო მოიხზავს მისსიური მომხმარებელი.

აი ასეთია ძირითადი დირექტივები, რომელიც მე-13-ე ყრილობამ მისცა ამ ორ ორგანიზაციას.

მაგრამ ყოველივე დადგენილებას მაშინ აქვს ფასი, როდესაც ის სისწორით და აუცილებლობით ტარდება ცხოვრებაში. ახლო მომავალი დაგვანახებს, თუ რამდენად შეისხამს ხორცს ეს დადგენილებანი.

საერთოდ კი უნდა ავღნიშნოთ შემდეგი:

უნდა მოისპოს ის წინააღმდეგობა, რომელიც დღეს არსებობს სახელმწიფოს სამრეწველო-სავაჭრო პოლიტიკაში. მრეწველობა, წარმოება სახელმწიფოს ხელშია, როგორც ზევით ავღნიშნეთ, ხოლო ამ ნაწარმოების განაწილება, მომხმარებლისათვის მიტანა კი კერძო კაპიტალის ხელში.

ეს უნდა მოისპოს.

ან სახელმწიფომ ადგილი უნდა დაუთმოს კერძო კაპიტალს მრეწველობაში, ან და დაიპყროს ბაზარი და თვითონვე მიაწოდოს მომხმარებელს თავისი ნაწარმოები.

საბჭოთა ხელისუფლება პირველი გზით ვერ წავა. მაშასადამე რჩება მეორე გზა:

ე. ი. სახელმწიფო ვაჭრობამ უნდა დაიპყროს ბაზარი. სახელმწიფო ვაჭრობა ამას მოახერხებს მხოლოდ კოოპერაციის და მისი აპარატის საშუალებით.

როგორც ვხედავთ თანამედროვე ეკონომიური პირობები მეტად დიდ ამოცანას უსახავს კოოპერაციას. მისი როლი ათეცდებდა წინანდელთან შედარებით. მან უნდა დაქიმოს ძარღვები და მასზე დაკისრებული საქმე უნდა გააკეთოს.

შესძლებს კი ამას ჩვენი კოოპერაცია? გადაჭრილი პასუხის მიცემა ამ შემთხვევაში ავიწყლებს. საქმე იმაშია, რომ ჩვენს კოოპერაციას აქვს მრავალი ნაკლი. ის ვერ არის სათანადოთ მოქნილი და ხალხში ფესვებ გადგმული ორგანიზაციულად.

მრავალი რაიონები უკოოპერაციოდ არის დარჩენილი. არ არის რიგიანათ განაწილებული კოოპერაციის ქსელი. ავიდოთ, თუ გნებავთ მაგალითისათვის თფილისის მაზრა: აი აქ, გარე-კახეთში მეტად სუსტადაა წარმოდგენილი სამოქალაქო კოოპერაცია. სულ რამოდენიმე არსებობს. სამაგიეროდ მუშათა კოოპერაციას (ერკოპს) გაუხსნია სავაჭრო დუქ-

ნები ზოგიერთ სოფლებში და დაუწყია მოქმედება.

ძველი კოოპერატიული ორგანიზაციები დაინგრა, ახალი კი მეტად ზანტად არსდება.

სამაგიეროდ საკავშირო აღმშენებლობას კი მეტი ყურადღება ექცეოდა და ახლაც ექცევა. ცენტრი დიდ ოპერაციებს აწარმოებს, საქმეც რიგიანად მიუდის, მაგრამ სასოფლო კოოპერაციის ორგანიზაციაში ვერ იჩენს საქირო ფხას, უნარს ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

დღეს არის შესაძლებლობა კოოპერატივების აღდგენის. მრავალ ალაგს კოოპერატიული დუქნები იმეტომ დაიხურა, რომ ის ვერ გაუძლო ფულის კურსის ცვალებადობას და გაკატრდა. ზოგან კი საქონლის უშოვნელობამ მოუღო ბოლო კოოპერატიულ ორგანიზაციას.

დღეს კი, როდესაც მტკიცე ფულია ტრიალში და საქონელიც ბლომად არის, ადვილია კოოპერაციის აღდგენა.

მართალია ზოგან კოოპერაციას სახელი გატეხილი აქვს, მაგრამ გონიერი პოლიტიკით ამ სახელის აღდგენაც მოხერხდება.

მომხმარებულმა, რომელიც შეკავშირებულია კოოპერაციაში, უნდა იგრძნოს განსხვავება კოოპერატიულ და კერძო ფასებს შორის.

ამიტომ დასაშვებია გადაუხვიოთ კოოპერატიულ პრინციპს—ბაზრის საშუალო ფასებში საქონლის გაყიდვისა. მან საქონელი უნდა მიყიდოს თავის წევრს ბაზრის საშუალო ფასებზე ცოტა ნაკლებად.

მხოლოდ ამ პირობებში დაეწაფება გლეხობა კოოპერაციას და მის გარშემო შემოკრება.

მაშასადამე, რომ კოოპერაციამ შესძლოს ბაზრის დაპყრობა, ის უნდა გაჯანსაღდეს, გადახალისდეს.

აქეთკენ მივაქცევთ ჩვენ იმათ ყურადღებას, ვის ხელშია არის სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის მოწესრიგების საქმე.



### დ რ მ ა\*)

მ თვე გავიდა, რაც მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობაზე გადაწყდა დაშლა მენშევიკური ორგანიზაციების და დადგომა კომინტერნის დროშის ქვეშ.

\*) სადისკუსიოთ.

მაგრამ სიტყვა „ყოფილი მენშევიკი“ დღემდე არსებობს.

მენშევიკური პარტიის მუშაობის უკანასკნელი წლები აღნიშნულია კონტრ-რევოლუციონური ბეჭედით.

მოწინავე მუშები და გლეხები, რომლებიც წინეთ ითვლებოდნენ ამ პარტიის წევრად, მოშორდნენ მას, როგორც კი დარწმუნდნენ მის კონტრ-რევოლუციონერობაში.

სიტყვა მენშევიკი უკვე გახდა სინონიმი კონტრ-რევოლუციონერის.

ამიტომ ტარება მუდმივ სახელის „ყოფილი მენშევიკი“, „ყოფილი კონტრ-რევოლუციონერი“ შეუძლებელია, მიუღებელია.

ამ ყოფილი მენშევიკებიდან ბევრი დღეს უკვე კომუნისტია.

მათ უნდა მოშორდნენ სახელი „ყოფილი მენშევიკი“.

დანარჩენები დგანან კომუნისტურ პარტიის პლატფორმაზე და დღეს თუ არა ხვალ, როცა საკმაოდ იქნებიან მომხადებული, შევლენ კომუნისტურ პარტიაში.

ამათ უნდა დაერქვას „კომუნისტურ პარტიის თანამგრძობელნი“.

მე მგონია, ეს საკითხი საკმაოდ მომწიფებულა.

ის იარლიკი, რომელიც დღეს ზურგზე აკერია ყველა მათ, ვინც დაანება თავი მენშევიკურ პარტიას, უნდა ჩაბარდეს არქივს.

სიტყვა „ყოფილი მენშევიკი“ უნდა ამოიშალოს ჩვენი ლექსიკონიდან.

უკვე გაუქმებულ მენშევიკურ პარტიიდან ჩვენ დღეს გვყავს კომუნისტები და კომუნისტური პარტიის თანამგრძობლები.

როცა ვწერთ, ვლაპარაკობთ „ყოფილი მენშევიკი“, „არსებული მენშევიკი“, ეს იმას ნიშნავს, თითქო რაღაც საერთო იყოს ამ ორ სახელწოდებაში.

ნამდვილათ კი ამ ორ სიტყვას შორის არაფერი საერთო არაა, მათ შორის ხიდი სამუდამოთ ჩატეხილია.

გვყავს ჩვენ აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც სრულიად ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას. ასეთების რიცხვი ძალიან ცოტაა.

ეს ხალხი პოლიტიკურ მკვდრებს უნდა მიეწეროს.

ამიტომ ამათვისაც სრულიად ზედმეტია ყოფილი მენშევიკის სახელის ტარება.

ერთი სიტყვით, სახელი „ყოფილი მენშევიკი“ სრულიად შეუფერებელი და

მიუღებელი არის ყველა იპოთეის, ვინც სამუდამოთ დასტოვა მენშევიკური პარტია.

ა. რუხაძე.



### ინგლისის ბიუჯეტი და „მუშათა“ მინისტრები

ინგლისის „მუშათა“ მინისტრმა ფილიპე სნოუდენმა ინგლისის პარლამენტში შეიტანა ბიუჯეტი, რომლის მიხედვით სამხედრო ვალები უნდა აუნაზღაურდეს კაპიტალისტებს. მან გააუქმა გადასახადი აქციონერულ საზოგადოებებზე, რის შესახებ არა ერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა კაპიტალისტების კლასს, შეამოკლა გადასახადები ავტომობილებზე და სხვა საოჯახო ნივთებზე და სხვა.

გარდა ამისა, სოციალისტი „სნოუდენი“ ფიციკება ინგლისის ბურჟუაზიას, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს ბოლშევიკებთან და არავის არ ჩამოერთმევა კერძო საკუთრება.

ყოჩად, სოციალისტებო! ამ განცხადებამ ლოიდ ჯორჯიც კი გააკვირვა.

— სოციალისტური ბიუჯეტი, — სწერს ლოიდ ჯორჯი, — არაფრით არ წააგავს სოციალისტურ ბიუჯეტს, მის შედგენაში არ არის სოციალიზმის ერთი წვეთიც კი. მისი მიზანია არა აფეთქება არსებული წესწყობილების, არამედ გამაგრება მისი.

შემდეგ ის იგონებს სნოუდენის ცნობილ განცხადებას სოციალიზმის შემოღების შესახებ და ამბობს.


— მისი (სნოუდენი) ფინანსიური გეგმები ერთ ნაბიჯსაც ვერ სდგამენ იქეთკენ, ეს ისეთი ბიუჯეტია, რომელსაც თანამედროვე წარადგენდა ყოველი ლიბერალური სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონის ტიპის, რომელსაც ღრმად სწამს არსებული ეკონომიური წყობილება და დარწმუნებულია, რომ მისი წინადადებანი გამაგრებენ ამ წყობილებას... ყოველივე (სნოუდენის ბიუჯეტში) ხელს უწყობს იმას, რომ შეარჩიოს მუშები კაპიტალისტური სისტემისთან. იმ დროს, როცა სოციალისტები აცხადებენ ლიბერალიზმს დრო მოკმულ გაძევრობათ, მთელმა მთავრობამ მოაღწია ისეთი წინადადებათა პირველ გამარჯვებას, რაც სავსებით შეესაბამება ლიბერალურ სახელმწიფოებრივ პრინციპებსა და ტრადიციებს. კომუნტარიები ზედმეტია!

იმანე მეტს, რაც სთქვა ბურჟუაზიის წარმომადგენელმა ლოიდ ჯორჯმა „მუშათა“ მთავრობაზე, ჩვენ ვერ ვიტყვი.

საჭიროა ლოიდ ჯორჯის მიერ მოყვანილ დახასიათებას კარგად ჩაუკვირდეს ყველა და დარწმუნდეს თუ რას ნიშნავს ის დემოკრატიული მთავრობა, რომელზედაც დღეს პირჯვარს იწერს ნ. ჟორდანი და არა-ლეგალური მენშევიკური კეპი.

ვეროპაში „გამარჯვებული“ დემოკრატია, რომელსაც აღტაცებაში მოყავს ყველა ტიპის მენშევიკები, ის იგივე ბურჟუაზიული წყობილებაა, რომლის ქვეშ თამამად მოაწერს ხელს ყველა გლადსტონიდან დაწყებული ლოიდ ჯორჯამდე.

ნაცნობი.



### წარსულიდან.

რევოლუციის ხმა ციმბარში.

ქალაქ კანსკში (ენისეის გუბერნია) ვართ.

ერთი კვირა ტელეგრაფი არ მუშაობს. არსაიდან არავითარი ცნობები არ მოდის. გაკვირვებულნი ვართ... არ ვიცით რაშია საქმე.

3 მარტს 1917 წელს ჩვეულებრივად ჩამოგვიარა ისპრავნიკმა ბაშმანიკოვმა, ვის პასპორტი გაუსხინჯა, ვის დაემუქრა ციხეში ჩამწყვდევით და შეპირდა ქალაქიდან სოფელში გადასახლებას.

სალამოზე აშხ. კანტორისას ვიყავი.

ჩამოვარდა ლაპარაკი რუსეთის რევოლუციისაზე.

— ამ ერთ წელიწადს თუ არ მოხდა რევოლუცია, მართლა, უბედურება იქნება, — სთქვა აშხ, კანტორმა.

დამის 12 საათია...

მესმის კარების ბრაზუნნი... მაწვდიან ტელეგრაფს.

მწერს ნაცნობი რუსეთიდან: — Поздравляю с освобождением.

გული მომივიდა. ვიფიქრე, ალბად ამნისტიაზე არის ლაპარაკი-თქო. მაშინ ბევრს სწერდნენ ამნისტიაზე და პოლიტიკურების ფონტზე ვაგზავნი შესახებ. ეს დეპეშა არ დამირჩა სასიხარულოთ. ორი საათის შემდეგ კლავ მალვიძებენ. კლავ დეპეშა.

მოსკვიდან მწერს მეორე ამხანაგი.

— Революция победила. Поздравляю с временным революционным правительством.

თავბრუ დამესხა.

კეთილშობილად დღეშის და ვერაფერი გამოვიდა.

ჯერ კიდევ გუშინ თითქმის უიმედობას მოვეცავით. დღეს კი დღეშებია რევოლიუციის გამარჯვების შესახებ.

გავლენით მოხუცი დიასახლისი, ვაწვდი დღეშებს და ვთხოვ წაიკითხოს...

ხელები აუცახ-ცახდა.

— ვინ გამოგზავნა ასეთი დღეშები? ხომ არ დაგვაპატიმრებენ ასეთი დღეშისთვის? — შეშინებული მკითხება.

მივღიარე ტელეგრაფზე.

დახვდა ნაცნობი ტელეგრაფისტი, ვეკითხებოდი გამაგებინოს რაშია საქმე.

— არ შემიძლია, — მუდუნება. — თქვენ, როგორც ნაცნობს გამოგზავნეთ ეს დღეშები, თუმცა ღირსეული მაქვს გამოვლენა იმის, რაც მოხდა პეტერბურგში.

აღარ ვშორდები.

ვტყობილობ, ნიკოლოზი ჩამოუვლიათ, დროებითი მთავრობა შედგარა თავად ლეოვის თავმჯდომარეობით, კერენსკი, რომელიც გუშინდელი ცნობით პასუხის გებაში იყო მიცემული 102 სტატიით, დღეს იუსტიციის მინისტრია.

ირკუტსკის ოლქის გენერალ-გუბერნატორს პილცის და ენისეის გუბერნიის გუბერნატორს გოლოლოზოვის \*) მოუხდენით განკარგულება სასტიკ საიდუმლოების ქვეშ შეინახონ ეს ცნობები და არავის მისცენ.

ცნობებს მიუხედავად ამ განკარგულებათა, ვლემულობ ვაიძულე ნაცნობი ტელეგრაფისტი მოეცა ასლი რამდენიმე დღეშებისა.

გავრზივარ ამხანაგებთან. ვუბნებდი ყველას ამ ამბავს. მაგრამ ვინ მიჯერებს? ყველას ეს ამბავი გვეგონა სიზარით.

გათენებისას ვმართავთ დიდ მიტინგს. ისპრანეიკი ბაშმაჩნიკოვი გვთხოვს დავიწყოთ წინააღმდეგ შექთხევაში მათ აქვთ განკარგულება იხმარონ იარაღი.

ჩვენ ვიკრიბებით. გავგზავნეთ ჯარში დღეშების ასლი და ფურცლები, რომელიც სიჩქარით შედგენილ და დაბეჭდილი იქნა ადგილობრივ პატარა სტამბაში.

ჯარმა იგრილა და შემოგვიერთდა. გზაში მოკლეს პოლკოვნიკი, რომელიც წინ გადუღდა ჯარს და არ უშვებდა მიტინგზე.

გვიჩვენებენ ვერაფერს ჯარისკაცებს არ მოეკლათ პოლკოვნიკი, ჩვენ გინდობდა მი-

\*) გოლოლოზოვი ყოფილი მემარჯვენე დეპუტატი იყო სახელწოდო სათათბროში მას ბრალდებოდა ლიბერალ პროფესორის კარავაივის მოკვლის მოწყობა.

სი მხოლოდ დაპატიმრება. მაგრამ არ გასჭრა ჩვენმა თხოვნამ.

მიტინგმა მოითხოვა, რომ ადგილობრივ ტელეგრაფს გადაეცა მისთვის მთელი მასალა რევოლიუციის შესახებ.

ბაშმაჩნიკოვი ტელეფონით ელაპარაკება გუბერნატორ გოლოლოზოვის, თუ როგორ მოიქცეს.

— Безполезно дальше скрывать революцию, — უპასუხებს კრასნოიარსკიდან. სწორედ იმ დროს, როცა ამას ამბობდა გოლოლოზოვი, მის დასაპატიმრებლად მისულიყო ალ. ერქომაიშვილი და დავაპატიმრებია.

ამ მიტინგზე გადაწყდა ძალა-უფლების ხელში აღება. სასწრაფო შევადგინეთ აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ წარმომადგენლები ყველა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებიდან და აგრეთვე ადგილობრივ ქალაქის თვითმმართველობიდან. აღმასრულებელ კომიტეტში გავგზავნეთ რამდენიმე წარმომადგენელი ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციიდანაც, რომელმაც უკვე მიიღო ლეგალიზაცია.

ვინაიდან არავითარი ინსტრუქცია არ გვქონდა საბჭოების და აღმოსკომების მოწყობის შესახებ, შევადგინეთ ისე, როგორც რევოლიუციონური სენიდიკი გვიკარნახებდა.

ნუ გავივირდებით, კანსკის აღმასრულებელ კომიტეტის პირველ შემადგენლობაში შევიდა ისპრანეიკი ბაშმაჩნიკოვიც.

თურმე ის აერჩია და გამოგზავნა პოლაკის თანაშრომლებს, რომლის რეორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ მოგვესწრა.

აღმასრულებელი კომიტეტის პირველივე სხდომაზე ადგილი ქონდა ასეთ ინციდენტს.

როცა გამოაცხადეს დელეგატების გვარები და თუ ვინ საიდან არის გამოგზავნილი, თვითმმართველობის წარმომადგენელი კადეტი პროტესტს აცხადებს, რომ აღმასკომში მოყოლია ს. დ. ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლებიო.

— აბა რა დაწესებულებაა ს. დ. ორგანიზაცია, რომ მას აქ გამოუგზავნია თავისი წარმომადგენლები? სად არის ეს ორგანიზაცია დამტკიცებული, რომელი რეგისტრაციაში გაიარა მან? — ამბობს ის.

— რევოლიუციამ დაამტკიცა ის, ვუპასუხებთ. სიტყვას იღებს ბაშმაჩნიკოვი.

— რევოლიუცია ეკუთვნის რევოლიუციონერებს, მათი წყალობით გაიმარჯვა რევოლიუციამ. იმიტომ პირველი ადგილი აქ, ცხადია, ეკუთვნის რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ჩვენ ვიცოდით, რა ალაპარაკებდა ასე ბაშმაჩნიკოვს.

ფიქტურა გვეგებოდა იმიტომ, რომ ფიქრობდა მას დაუვიწყებდით ძველ ცოდვებს.

მეორე ინციდენტი. კადეტები და ლიბერალები, რომლებიც მოყვნენ აღმასრულებელ კომიტეტში, აღარ გვანებებენ დავაპატიმროთ ადგილობრივი ქანდაკები, ოხრანიკები და პროვოკატორები.

ბოლოს იძულებული ვიყავით ყველა ესენი გავგვერეკა იქიდან და ძალა-უფლება აედო ხელში ნამდვილ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებს.

ესეც მოხდა. ეს იყო ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყოველივე ინსტრუქციის გარეშე ცენტრიდან შეადგინეს ადგილობრივ ამხანაგებმა რევოლიუციის ინტერესების კარნახით.

ისპრანეიკი ბაშმაჩნიკოვი, მისი თანაშემწე, როტმისტრი, ოხრანიკები და რამდენიმე პროვოკატორები, რომლებიც ოხრანიკის დოკუმენტებიდან აღმოჩნდნენ, სასწრაფოთ დაგვაპატიმრეთ.

საბჭოთა ხელისუფლება, მთელი ძალა-უფლება მშრომელ მასსას. ასეთი იყო ყველას განწყობილება რევოლიუციის მირველ დღეს შორეულ ციშიბრში.

ა. რ.—ძე.



### გ. ვ. პლენანოვი.

(დასასრული)

პლენანოვმა რევოლიუცია წარმოიდგინა, როგორც შედეგი მეფის მთავრობის სამხედრო პოლიტიკის უზერიო მართვისა, იმიტომ რევოლიუციონურ მასს პლენანოვი მოუწოდებდა დღეს, როდესაც არ არსებობს მეფის მოლაპატე მთავრობა, საჭიროა უფრო მეტის ენერგიით ბრძოლა გერმანიის წინააღმდეგო, პლენანოვმა თითქოს ვერ შეამჩნია თუ რა გეგმა ქონდა რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს შესასრულებელი. პლენანოვი თითქოს ვერ ხედავდა თუ რა დიდი და გრანდიოზული შრომა მართებდა ვაწიო რუსეთის მუშათა კლასს, რომ მოპოებულ ითავისუფლება შეენარჩუნებია მოულოდნელ კონტრევოლიუციონური შეტევებისაგან.

ამხ. ლენინის ჯგუფი ენერგიულად ემზადებოდა, რათა პროლეტარიატის ხელში გადასულიყო მთელი პოლიტ. ძალა უფლებმა, როგორც სამართლიანი მემკვიდრე ბურჟუაზიული საზოგადოებისა და

თავისი შემოქმედებით, აღმშენებლობით განემტკიცებია მშრომელთა სახელმწიფო. მართალია პლენანოვი ამხ. ლენინის ხაზს არ იზიარებდა, იგი მასთან განაგრძობდა იდეოლოგიურ ბრძოლას, მაგრამ პლენანოვი ისე არასდროს დაცემულა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მიზანშეწონილად მიეჩნოთ კონტრრევოლიუციონურ ელემენტებთან კავშირი. პირიქით, იგი აფრთხილებდა თავის უახლოეს მიმდევრებს და საერთოდ ყველას, რომ შეიარაღებული გამოსვლა არის ყოველად უაზრო და ამავე დროს რევოლიუციონურად საზარალო, რადგან ბოლშევიკების დამარცხება ეს იქნება რევოლიუციის დამარცხება, რომელსაც მოყვება რეაქციის გაბატონებაც.

როდესაც კორნილოვმა, ყოფილმა მთავარსარდალმა, რეაქციის პირველმა მერცხალმა, მოინდომა რევოლიუციის წინააღმდეგ ხმალის აღმართვა, პლენანოვი თავისი ორგანოში „ერთობაში“ სწერდა, რომელი გერმანელი უფრო საშიშია რევოლიუციისათვის გარეშე გინდენბურგი თავისი იუნკრებით თუ შინაური გერმანელი კორნილოვი? და იგი მოითხოვდა კორნილოვი დაესაჯა რევოლიუციის უსასტიკესად, თანახმად სამხედრო და რევოლიუციონური დროის წესებისა.

ძნელია გადაჭრით თქმა თუ რას იზამდა პლენანოვი, რომ კიდევ რამოდენიმე ხანს ეცოცხლა, მაგრამ ზოგიერთი მომენტები მისი უკანასკნელი ხანიდან დასდებენ, რომ პლენანოვი არ დადგებოდა სხვების მსგავსად, კონტრრევოლიუციონერებთან კავშირში ბოლშევიკების წინააღმდეგ. ერთი მაგ. ამის დასამტკიცებლად. ესაა უკვე ცნობილი რეაქციონერმა სავინკოვმა წინადადებით მიმართა პლენანოვს შეედგინა მთავრობა, რადგან გენერალ კრასნოვის გამარჯვება ყოველ მიზეზის გარეშე უზრუნველყოფილია. პლენანოვმა სავინკოვისთვის სრულიად მოულოდნელად უპასუხა, რომ 40 წელი ვერსახურე მუშათა კლასს და ვერ დავხვრეტებ მას მაშინაც კი, თუ გინდ შემტდარი გზით მიდიოდესო, და არც თქვენ გირჩევთ მთავრობის შედგენას თქვენი რევოლიუციონური წარსულის გულისათვის. აქ აშკარაა პლენანოვი ნათლად ითვალისწინებდა, რომ კრასნოვის ხიშტებზე გამაგრებული მთავრობა უმეპელოდ რეაქციონური მთავრობა შეიქნებოდა, რომელიც სასტიკად დასაჯიდა ყველას, ვინც რევოლიუციის გაღრმავებას შეეცდებოდა.

### საპლა.

მ ი ლ ი რ ა ნ ი ს

„თუ გინდა ჯვარს ეციე არ არის საშველი“, ვეძახი, არ მოდის არსიდან მაშველი. გავტლინკდი, გავკოტრდი და დავრჩი შიშველი არავის არ უნდა კანონის „პატივი“ (ერთიოს არ სჯერა ეს ცნება მარტივი) მიყვარდა: პორტფელი, „შამპანი“ და ქადა მაგრამ (ო, ცხოვრებავ) კენქმა რა გახვადო. მე ვხედავ ემხოზა პარიზი, ვერსალი, რადგან არ მიიღეს ფრანსუა მარსალი.

### „აზარსი“

ქ რ ტ ი თ ს ი.

ჩამოდქით, გზა მომეცით, ძირს დაჰხარეთ ყველამ თავი პუანკარე გადავაგდე გავამტკიცო მინდა ზავი. საქმეს ისე მოვაგვარებ, არც მწვადს დაწვავ არც შამფურსა; გერმანია ვალს თუ მომცემს, დაუბრუნებ მაშინ რუსსა. რუსეთს ვიცნობ უმეპელოდ (კურსი არის ეს ახალი) და სანაცვლოდ მოვსთხოვ შემდეგ გაისტუმროს მეფის ვალი.

აფ—ლე.

პლენანოვს, რომელიც თავიდანვე ანტიბოლშევიკურად განწყობილი იყო, არ შეეძლო ისე მოკლე ხანში მიელო და ეწამა ოქტომბრის რევოლიუციის სიდიადე, რადგან ასეთი ნაბიჯი პლენანოვისთანა ღრმა მოაზროვნესათვის არ შეეძლება ყოფილიყო ერთი ან ორი დღის დაფიქრების საქმე. 30 მაისს 1918 წელს ფინლიანდიის ერთ ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ერთი უძლიერესი მოაზროვნე კოლოსალური გონების პატრონი, უსაზღვრო ცოდნით შეიარაღებული გ. ვ. პლენანოვი.

მის დასაფლავებას, თანახმად პეტროგრადის საბჭოს დადგენილებისა არ დასწრებია არც ერთი პეტროგრადის ქარხანის მუშები. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ყრუ ღუმილით გამოიტრია თავისი ყოფილი მასწავლებელი.

პლენანოვის ცხედარს მოაცილებდენ მისი უხლოესი თანამებრძოლი და პატივისმცემელი, სამშუხაროთ პროცესიაში მრავლად იყო დაუპატიჟებელი სტუმრები, ნევის პროსპექტის ჰრელი-კონტრრევოლიუციონური ინტელიგენცია.

ისინი პლენანოვში ხედავდენ ერთად ერთ ბუმბერაზ ძალის დაკარგვას, ბოლშევიკების წინააღმდეგ, და ამდენად მათი ნიანგის ცრემლები იყო უდიდესი დამცირება პლენანოვის იდეოლოგიის ღირსებისა.

ისტორიამ პლენანოვი არ დაინდო და ერთხელ კიდევ უკანასკნელად, პურიშკევიჩის მიერ გამოგზავნილი სამგლოვიარო გვირგვინის პლენანოვის საფლავზე დადებით, მიაყენა უდიდესი შეურაცყოფა. პროლეტარიატის მიერ გარიყული პლენანოვზე მზრუნველობას იჩენდა იმედ დამსხვრეული რუსეთის კონტრრევოლიუცია.

ამხ. ტროცკის დახასიათება, რომ მოვიყვანოთ პლენანოვი თუ ყოველთვის მზათ იღვა თეორეტიულ სადარაჯოზე და მტკიცედ იცავდა მეცნიერულ სოციალიზმის სიწმინდეს—ყალბი აზრების შეტანისაგან, სამაგიეროდ იგი ხშირად გაუშვებდა ხოლმე უყურადღებოდ მსხვილი პოლიტიკურ მოვლენებს.

ასე მაგ. 1905 წელს პლენანოვში უფრო სქარბობდა თეორეტიკოსი, ვინემ პრაქტიკოსი, იგი უფრო ცხოვრობდა თეორიისთვის, ვინემ პრაქტიკისათვის.

თუ 15 წლის წინად პარიზის კონგრესზე რუსეთის რევოლიუციის პლენანოვმა უწინასწარმეტყველა, რომ ის გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა ან სულ ვერ გაიმარჯვებსო—შეუძლებელია პლენანოვს, რომ მას საშუალება ქონებოდა კიდევ რამოდენიმე ხანს ახლო ჩაკვირებოდა ამ ისტორიულ ქარტებისს, არ ეწამა ოქტომბრის სიდიადე და მთელი თავის ძალდონე არ მიეტანა მის სამსხვერპლოზე.

ამის საბუთს იძლევა მისი ზედმიწევნით სწორი ანალიზი თავისი სტადიაში „ორი ხაზი რევოლიუციის“ სიდაც იგი გარკვევით ლაპარაკობს, რომ პოლიტიკური მესაქეობა გადავა ბურჟუაზიული ელემენტებთან (კადეტებთან). შემდეგ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ხელში (მშრომელთა ჯგუფის) ბოლოს, როცა მოძრაობა მიიღებს ფართო ხასიათს ძალა უფლებსა ჩაუვარდება ხელთ უკიდურეს ჯგუფებსო. უნდა ვიფიქროთ, რომ პლენარის მოვსწრო ჩახედა ოქტომბრის რევოლიუციის ხელში მივიღოდა მუშათა კლასთან, ისტორიის მიერ ძველ სწორ გზაზე დამდგარი და თავისი დიდ ცოდნას მოახმარდა მშრომელთა ძალა უფლების განმტკიცებას.

ა. კალაძე.



## რევოლიუციის რ. კ. კ. მე-13 ყრილობაზე მიღებული კომპარატივის შესახებ.

### 1. კოპერაციის როლი სახელმწიფო მრეწველობის და საგლეხო მეურნეობის დაკავშირების საქმეში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ კერძო კაპიტალს უფლება მიეცა მონაწილეობა მიეღო ბაზარზე და წარმოებაში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კერძო კაპიტალმა დაიწყო ლტოლვა არა წარმოებისაკენ (რადგან მთელი მრეწველობის 0,9 ამ ეშაით სახელმწიფოს ხელში რჩება), არამედ ვაჭრობისკენ, და კოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების სუსტი გაგრძელების გამო კერძო ვაჭარმა მოახერხა ბაზრის თავის ხელში ჩაგდება, განსაკუთრებით სოფლათ. ამრიგათ, სოციალისტური მეურნეობის განვითარების და სახელმწიფო მრეწველობის და საგლეხო მეურნეობის უშუალო დაკავშირების წინაშე აღიმართა საფრთხე ჯერ კიდევ განუვითარებელ ბაზრის სახით, რომლის უმეტესი ნაწილი უკვე დაპრობილია კერძო ვაჭრობისაგან. იკმნება წინააღმდეგობა: მრეწველობა სახელმწიფოს ხელშია უშუალოდ კი მასსა და გლეხს შორის გამოდის კერძო ვაჭარა. აი, ამიტომ კოპერაციის განვითარების ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, არის ვაჭრობიდან კერძო კაპიტალის განდევნის ამოცანა და ამით მჭიდრო კავშირის შექმნა საგლეხო მეურნეობასა და სოციალისტურ მრეწველობას შორის.

### 2. წარმოება და გასაღების მოწყობა.

ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის მიერ დამზადებულ პროდუქტების გასაღების კრიზისები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი წლის განმავლობაში, გამოწვეული იყო არა იმდენად სოფლის სუსტი სყიდვით უნარიანობით (რადგან სოფლის მოთხოვნილებანი დიდია და სყიდვით უნარიანობაც იზრდება), რაზღენადაც ვაჭრობის ცუდათ წაყვანიო; ჩვენ ვერ მოვახერხეთ საქონლის გაიფება, მომხმარებლის გამოძებნა და ამისთანავე ჩვენი კოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო აპარატი ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, იმ პირობებში, როდესაც სოფლის მეურნეობის აღორძინების ზრდამ წინ გაუსწრო და წინ უსწრებს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის მუშაობას, ნამდვილ ზედმეტ წარმოებას და გასაღების კრიზისებს არ აქვს ადგილი და არც შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ ასეთი არანორმალური შეფარდება წარმოებასა და გასაღებას შორის შეიძლება მომავალშიაც განმეორდეს, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ბაზრის დაუყოვნებლივი დაპყრობა და მოწყობა, უმთავრესათ კოპერაციის საშუალებით. სახელმწიფო მრეწველობის წარმოების თვით შემდეგი გაფართოება დამოკიდებულია იმისაგან, შევძლებთ თუ არა ჩვენ გამოვნახოთ კოპერაციის საშუალებით სათანადო მომხმარებელი; ასეთი მომხმარებელი კი არის საგლეხო მეურნეობა. ჩვენი ამოცანა—დავაყაროთ ამ უკანასკნელთან მუდმივი კავშირი.

### 2. კოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

კოპერაციას, როგორც პროფკავშირებსაც, სამოქალაქო ომის ძნელ ხანაში და აქედან გამომდინარე სურსათ-სანოვანის იძულებითი ბეგარის პერიოდში უნდა გარდაექმნა თავისი თავი და მას უნდა ემუშავა მუშათა კლასის და გლეხობის ახალ ამოცანებთან შეფარდებით; მას უნდა დაეტოვებია ძველი ტრადიციები და მუშაობის ძველი ფორმები. კოპერაცია იმ ხანებში სახელმწიფოს დავალებით ასრულებდა სასურსათო პროდუქტების გამწვანებლის როლს, და მან ასეთი მუშაობით უდიდესი სამსახური გაუწია მუშათა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა ათჯერ უფრო ადიდებს კოპერაციის მნიშვნელობას. არასოდეს და არსად კოპერაციას არ უთამაშნია

ისეთი კოლოსალური და გადამწყვეტი როლი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, როგორც მან ითამაშა პროლეტარიატის მიერ თავისი კლასიური მტერის დამარცხების შემდეგ, და განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც არის ჩვენი ქვეყანა, სადაც აუარებელი საგლეხო მეურნეობაა; ამ მეურნეობების მიყვანა სოციალიზმამდი შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციის კოლექტიური ფორმებით, ე. ი. სამომხმარებლო და საწარმოო კოპერაციის საშუალებით. კოპერაციაში გაერთიანებული საგლეხო მეურნეობა აუცილებლათ დაკარგავს თავის ინდივიდუალურ ხასიათს და ის მიიღებს კოლექტიური მეურნეობის ფორმებს. მეორეს მხრივ, არსად და არასოდეს, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში კოპერაციას არ ჰქონია ისეთი ხელსაყრელი პირობები განვითარებისათვის, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მსხვილი კაპიტალის მონოპოლია ვაჭრობაში და მრეწველობაში აუცილებლად აღჩობს და ანადგურებს კოპერაციას, ამიტომ კოპერაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ ის იქ მთელი ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა, მეტისმეტად სუსტია, ამავე დროს ის ბურჟუაზიის ბატონობის ერთ-ერთი იარაღია; პროლეტარიატის დიქტატურის დროს კი კოპერაციის მხარეზე არიან და კერძო კაპიტალის წინააღმდეგ იბრძვიან სახელმწიფო ხელისუფლება მთელი თავისი ავტორიტეტით და საშუალებებით, პარტია და პროფკავშირები; კოპერაციას მინიჭებული აქვს შეღავათები და განვითარების უსაზღვრო თავისუფლება. აი ამიტომ ჩვენი კოპერაცია, რომელიც ერთ-ერთი იარაღია პროლეტარიატის ხელში სოციალისტური მშენებლობისათვის, ასჯერ უფრო ჩქარი ტემპით უნდა ვითარდებოდეს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

### 4. მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა და ბაზრი.

ჩვენ აუცილებლად უნდა მივალწიოთ დადებით და ჩქარ შედეგებს კოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის სფეროში კიდევ იმიტომ, რომ შევქმნათ საქმათ მტკიცე ბაზა საბჭოთა სახელმწიფო. მტკიცე ვალიუტაზე გადაყვანის საქმეში, რადგან ფულის რეფორმის წარმატებით გატარება შეუძლებელია, თუ ბაზარი მოუწყობელი იქნება და იქ იბატონებს კერძო ვაჭრობა, რომლის მუდმივი და ნამდვი-

ლი მოწესრიგება სახელმწიფოს მიერ შეუძლებელია.

**წ კოოპერაციის ზრდა და მისი ძირითადი ნაკლულოვანებანი.**

კოოპერატიული ბრუნვის ზრდა უკანასკნელი წლის განმავლობაში ექვს გარეშეა, ეს კი გვიყენებს იმას, რომ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თავის განვითარებაში და სამეურნეო განმტკიცების პროცესში ზოგიერთ შედეგებს მიიღწია. მაგრამ კოოპერაციის ამ ზოგიერთი მიღწევების აღნიშვნა მთელ მის სამეურნეო მნიშვნელობასთან დაკავშირებით გვიკარნახებს ჩვენ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყროთ კოოპერაციის იმ ნაკლულოვანებათა გამოძღვანებას, რომელთა დაძლევისავე უნდა იყოს მიმართული მთელი პარტიის პროფკავშირების და კოოპერაციის მუშაკების ყურადღება. კოოპერაციის ძირითად ღებქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ: 1) კოოპერაცია საკმაოდ ჩქარა ვერ ეგუება მუშაობის ახალ პირობებს, სუსტია მისი კავშირი ადგილობრივ ბაზართან; კოოპერატიული ბიუროკრატიზმი და აქედან გამომდინარე მომხმარებელის არა საკმაო თვითმოქმედება და მონაწილეობა კოოპერაციის მუშაობაში; 2) გაუბედავი გადასვლა ნებაყოფლობითი წევრობის სისტემაზე; 4) საშუალო და უმაღლესი კოოპერატიული ორგანოების გატაცება კოოპერაციული ბრუნვით და მათ მიერ სუსტი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაწევა და ხელის შეწყობა ქვედა საფეხურის კოოპერაციის განვითარებისათვის; 4) საეკონომიკური პრაქტიკის ნაკლულოვანებანი, რომელიც გამოიხატება პროდუქტების მეტისმეტი სიძვირეში და შეუფერებელ საქონელის შერჩევაში; კოოპერაცია ხშირად მიზნად ისახავს ემსახუროს მთელ მოსახლეობას და ის ივიწყებს ამოცანას, თუ როგორ უნდა ემსახუროს შეკავშირებულ მომხმარებელს, და, ბოლოს, 5) ბიუროკრატიული დამოკიდებულება მომხმარებლისადმი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი, სუსტი დინტერესება მომხმარებელით და არა საკმარისი ინიციატივა კოოპერაციის მომხმარებლის იმ ბრძოლაში ჩაბმის საქმეში, რომელიც მიმართულია კერძო ვაჭრის წინააღმდეგ. აი ჩვენი კოოპერაციის ძირითადი შინაური ღებქტები და სისუსტე, რომელთა გამოსწორებისავე უნდა იყოს მიმართული უახლოეს პერიოდში მთელი ჩვენი ყურადღება.

**6. კოოპერაცია სოფლად.**

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის განვითარებას სოფლად; ეს საჭიროა იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელსაც თამაშობს კოოპერაცია საგლეხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. კოოპერაციის სისუსტე სოფლად—ეს პროლეტარული მრეწველობის და გლეხობის დაკავშირების ყველაზე უფრო სუსტი რგოლია.— კოოპერაციის განმტკიცება და ზრდა სოფლად ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ბრძოლა სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხის განთავისუფლებისათვის კულაკის, სპეკულიანტის და მეფხვის კლანქისაგან; ღარიბი და საშუალო გლეხობის ჩაგვრა სოფლად სხვა და სხვა ფორმებში ხდება. მეორე—გლეხთა ფართო მასების ჩაბმა კოოპერატიულ თვითმოქმედებაში არის მეურნეობის კოლექტიურად გაძლიერების სკოლა, რომელიც ყველაზე უფრო უბრალო და გასაგებია გლეხებისათვის. კოოპერაციის ამოცანას სოფლად მართლაც არ შეადგენს, რომ მან მიიწოდოს გლეხთა მეურნეობას იაფ-ფასიანი საქონელი, ე. ი. შეკავშიროს იგი, როგორც მომხმარებელი. კოოპერაციამ გლეხებისგან უნდა შექმნას მწარმოებლები, და ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს ცდას გაერთიანებული იქნეს სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია; ეს უმჯობესად შემცდარი ნაბიჯია. ასეთი განწყობილება შეიქმნა, უმთავრესათ, იმიტომ, რომ სოფლად საკმაოდ ნათლად არ ყოფილა გაშუქებული მუშაობის განაწილების საჭიროება ამ ორი სახის კოოპერაციის შორის ამ ორივე სახის კოოპერაციას მეტად ბევრი საშუალო აქვს სოფლად. თავდაპირველად გლეხები გაერთიანებული და შეკავშირებული უნდა იქნენ, როგორც მომხმარებლები და მწარმოებლები და მხოლოდ შემდეგ უნდა დაისვას საკითხი გაერთიანების შესახებ; ამისთანავე დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი ინტეგრაციის გამოცდილება, რომელსაც აქამდის ჰქონდა ადგილი. სოფლად კოოპერატიული მუშაობის კიდევ უფრო მოსაწესრიგებლად საჭიროა მოხდეს ფუნქციების განაწილება სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის შორის; აუცილებელია აგრეთვე მათი შეთანხმებული მუშაობა ზოგიერთ საკითხებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის

**ბრძოლის დასრულება**

სულის არეში ამაყი ქარი შეარყევს მარად ფიქრთა სიმშვილეს. ახმაურდება ზღვა ბობოქარი და გადასცდება ნაპირის კიდეს. ბრძოლის წყურვილი სხეულს დაივლის. ენთება ცეცხლი სულის მწვერვალებს და განთიადის წყურვილი ხილვის მწარე კაემანს გაატიალებს. ვარ ბრძოლის ცეცხლის აღმურთ მთავალი და გატაცება მხიბლავს გმირული. ვარ უშიშარი, როგორც გრივლი თან უღარდელი და განწირული. მსოფლიო არეს გადაიქროლებს სამარადისო ნიავი შევების. ცხოვრების ტალღებს ააჩოქოლებს, ააწკრილებს ზარს განახლების. მზეს დაეტყობა უცხო ღობილი და დაიფრქვევა ოქროს მკიფებად, როდესაც ქვეყნად შრომისა შეილი გარდაიქცევა შურის-ძიებად. ბიბინებს მდგლო... ჰქრის სიო წყნარი შრიალებს ეშხით ტყე აქოჩრილი; ყვავილთა შევბას არ აქვს საზღვარი, როცა იმსხვრევა ზამთრის ბორკილი. მათრობს ბუნება, ვარდთა სურნელი და მახალისებს მერცხლის თარეში; რისხვით აღსდგება მუშა-მშრომელი ტანჯული მიწის ყველა მხარეში; ააფრიალებს დროშას უძლეველს და განახლების ჩამორტყს ზარებს; გააპობს კლდეებს ღებმდე ურყევებს და ციხეების დამსხრტვს კარებს.

**მონაწილე.**

სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საწარმოო გამსაღებელ გაერთიანების ფორმებს („მასლოცენტრ“-ი, „ლნოცენტრ“-ი, „სოიუზკარტოფილ“-ი და სხვ.), რომლებიც ეხლა ეწყობიან; ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე არტელების და კოლექტივების მოწყობას სოფლის მეურნეობაში; მათში მონაწილეთა რიცხვის გასაღიღებლად გამოიხიული უნდა იქნეს სხვა და სხვა პრემიები და შედავათები. ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს აგრეთვე საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, როგორც კოოპერაციის ყველაზე უფრო მასიური ფორმა, რომელსაც შეუძლია ჩაბას თავის მუშაობაში გლეხობის ფართო

მასები. ამასთანავე მას შეუძლია დააკმაყოფილოს გლეხთა მეურნეობის სხვადასხვაგვარი საწარმოო მოთხოვნილებანი.

კოოპერაციის განვითარების გაძლიერებას საფლათ აქვს უდიდესი კულტურული მნიშვნელობა: ის აძლიერებს გლეხთა თვითმოქმედებას და ამასთანავე ხელს უწყობს გლეხობის კულტურული დონის ამაღლებას: ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეტანას სოფლათ, აგრონომიულ დახმარებას, სათესლე მასალას. სოფლის ნაწილობრივ ელექტროფიკაციას და სხვას. კოოპერაციის ასეთი მნიშვნელობა სოფლისათვის გვიკარნახებს ჩვენ ყოველის მხრივ ხელი შეუწყობს ქვედა საფეხურის კოოპერაციას და დავიცავთ ის სოფლის კულტურ-საეკოლოგიურ ელემენტების გავლენისაგან! ეს უკანასკნელები სცილობენ და კვლავ შეეცდებიან გამოიყენონ კოოპერაცია, როგორც დუქანი თავისი მოგების გასაძლიერებლათ და ამით სახელს უტეხენ კოოპერაციის იდეას გლეხთა ფართო მასებში.

კოოპერატიული აღმშენებლობის საქმეში სოფლათ ჩაბმული უნდა იქნენ შემდეგი ორგანიზაციები. რ. ა. კ. კ., ურთიერთი დახმარების კომიტეტი და სრულიად რუსეთის მიწა-წყლის მუშაკთა პროფკავშირების ორგანიზაციები. პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა თავის მუშაობის დროს სოფლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოოპერაციის იდეის პროპაგანდას: მათ ამ საქმეში უნდა დაინაწიონ მასწავლებლები, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სოფლის პარტიული უჯრედების ყველა წრეები შედიოდნენ კოოპერაციაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კოოპერატიული ორგანიზაციის მუშაობაში.

**7. მუშათა კოოპერაცია.**

მუშათა კოოპერაციის სუსტ მხარეთ უნდა ჩათვალოს ის, რომ კოოპერაციის მუშაობაში სითანადოთ ვერ არის ჩაბმული მუშა მომხმარებელი, კოოპერაციის მეორე დიდი ნაკლია სუსტი რეალიზაცია მუშა-მომხმარებლის შორის ხელფასის, რომლის უმეტესი ნაწილი ხელში უკარდება კერძო ვაჟარს. ამ ამიტომ მუშათა კოოპერაციის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ის პროფკავ-

შირთა დახმარებით უნდა გადავიდეს ნე-ბაყოფლობით წვერობაზე; მან ქვედა საფეხურის კოოპერატივების ქსელის გაფართოვებით და თავისი სავაჭრო პრაქტიკის გაუმჯობესებით უნდა მიაღწიოს იმას, რომ მუშა თავისი შრომის ხელფასის უმეტეს ნაწილს აძლევდეს თავის კოოპერატივს იაფ და კარგი ღირსების მოხმარების პროდუქტებში.

იმ პირობებში, როდესაც შრომის ხელფასი არ ასულა ისეთ დონეზე, რომ საესებით დააკმაყოფილოს მუშის ყველა მოთხოვნილება, კოოპერაციის თავისი შეღავათებით (მუშაა კრედიტი, საქონლის გაიფება და სხვა) შეუძლია შეამსუბუქოს და გააუმჯობესოს მუშების მატერიალური მდგომარეობა; ამასთანავე კოოპერაციამ უნდა იბრძოდეს იმის წინააღმდეგ, რომ კერძო ვაჭრებმა არ ჩათრიონ თავის ბრჭყალებში მუშები. კოოპერატიულმა ცენტრებმა ორგანიზაციული და მატერიალური დახმარების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ძირითად მუშათა რაიონებს (დონის ბასეინი, ურალი, ლენინგრადი, ბაქო და სხვები), და აგრეთვე სატრანსპორტო მუშათა კოოპერაციას, რომელიც ემსახურება მეურნეობის ერთერთ მნიშვნელოვან დარგის მუშაკებს.

მუშათა კოოპერაციის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალური კავშირების მონაწილეობას კოოპერაციის მუშაობაში; კავშირები, ერთის მხრივ, უნდა დაეხმარონ მას პრაქტიკულათ, მუშაკების მიწოდებით და თავისი რჩევა-დარიგებით, მეორე მხრივ კი—პროფკავშირებს, როგორც უპარტიო მასასთან ყველაზე უფრო დაკავშირებულ ორგანოებს, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კოოპერაციაზე თავისი საორგანიზაციო-კულტურული მუშაობით. ამ შემთხვევაში პროფკავშირებს შეუძლიათ კავშირი გააბან კოოპერაციასა და მუშებს შორის.

**8. კოოპერაციის გაჯანსაღების და განმტკიცების ზომები.**

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთა მიზანია კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება, როგორც სოფლად, ისე ქალაქში, გატარებული უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დეცენტრალიზაციის გატარება, როგორც საორგანიზაციო და სავაჭრო, ისე საკრედიტო მოდერნიზების სფეროში, ამასთანავე მაქსიმალური დამოუკიდებ-

ლობა უნდა მიენიჭოს ქვედა საფეხურის კოოპერაციას და მისი პირველად და რაიონულ გაერთიანებებს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშათა და გლეხთა მასების თვითმოქმედება, კოოპერატიულმა ცენტრებმა უარი უნდა სთქვან სხვადასხვაგვარი საქონლის მთელი კოოპერატიული ქსელისათვის მიწოდებაზე. კოოპერატიული ცენტრების მუშაობა აგებული უნდა იქნეს აუცილებელ მუშამავლობაზე ქვედა საფეხურის კოოპერაციასა და სახელმწიფო, სამეურნეო და სავაჭრო ორგანოებს შორის; ამასთანავე ამ ცენტრებმა ნამდვილი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ქვედა საფეხურის კოოპერაციას.

ბ) აუცილებლად დაჩქარებული უნდა იქნეს გადასვლა ნებაყოფლობით წვერობაზე.

გ) აპარატის გამარტივებით და ზედდართულ ხარჯების შემცირებით კოოპერაციამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ კერძო ვაჭრობის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლის პროცესში მან თავის შეკავშირებულ მომხმარებელს საქონელი მიჰყიდოს საშუალო-საბაზრო ფასებზე ნაკლებად; ამასთანავე მომხმარებელს უნდა მიეცეს პრეზია კოოპერაციაში მონაწილეობისათვის.

დ) კოოპერაციამ უარი უნდა სთქვას საქონლის მთელი მოსახლეობისათვის მიწოდებაზე, მან მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაკცროს იმას, რომ საესებით დააკმაყოფილოს თავისი მომხმარებელი. ამიტომ მოსაზილი უნდა იქნეს არამასიური მოხმარების საგნების, ფუფუნების საგნების და სხვათა ვაჭრობა კოოპერატივებში, და მთელი ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ იმ საქონელს და საგნებს, რომლებიც საჭიროა მუშათა და გლეხთა მასებისათვის.

ე) კოოპერაციის ორგანოებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მომხმარებლის და მწარმოებლის კოოპერაციის მუშაობით დაინტერესების საქმეში. ამასთანავე გადაჭრით მოსაზილი უნდა იქნეს «კაზაონური» და ბიუროკრატიული დამოკიდებულება მომხმარებლისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ მოსამსახურეთა შერჩევას, მათთვის პრემიების მიცემას კარგი მუშაობისათვის.

ზ) კოოპერაციის საქმის გასაუმჯობესებლათ ყოველის მხრივ გამოყენებული

# „იველის დაღუპვა“

ამ ბოლო დროს საქმე წახდა, ყოფნა ძალზე გამიკირდა; ბანკირები გამიკოტრდნენ, გაფიცვები გამიხშირდა, მუქთი ოქრო შემომაკლდა, ყველაფერი გამიკირდა. ამ დროს გულის მოსაკლავად ჩიჩერინიც ამიხიარდა ნოტას ნოტა უკან მოსდევს აღარ უჩანს დასასრული: არავინ მყავს მეგობარი, ლამის არის ვასკდეს გული; სულ ამაოდ ჩაიარა პუანკარეს სიყვარული (უკანასკნელ არჩევნებში განუტყვევ უცებესული). ვინღა მომცემს მომავალში იარაღებს და რესურსებს. საფრანგეთი ურიგდება და ცნობილობს წითელ რუსებს. ჩიჩერინი ამ ჩემს ნოტებს ისე აგდებს, როგორც ბუზებს; რაც ხანია გადობირებს ამ დაწყვეტილ ბელორუსებს.

## მოწიფული.

უნდა იქნეს შეჯიბრება კოოპერატივების შორის, რომლის დროსაც გამორკვეული და ერთმანეთთან შედარებული უნდა იქნეს თვითეული კოოპერატივის კარგი და ცუდი მუშაობის მხარეები.

კ) მუშათა და გლეხთა ფართო მასების კოოპერაციაში ჩაბმისა და მათი დანტერსების მიზნით გატარებული უნდა იქნეს ანგარიშის სისტემატიური ჩაბარება კოოპერაციის მიერ თავის წევრებისათვის საერთო და სადღეღვატო კრებებზე, პრესაში და სხვა.

ლ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა ქალების და გლეხი ქალების ფართო მასების ჩაბმას კოოპერაციის მუშაობაში; ისინი მიღებული უნდა იქნენ არა მარტო წევრებათ, არამედ საქირაო, რომ წამოყენების გზით ისინი გაყვანილი იქნენ ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოებში.

მ) კოოპერაციაში საორგანიზაციო მუშაობის გაძლიერების სფეროში საქირაო ყურადღება მიექცეს კარგ საინსტრუქტორო და საინსპექტორო აპარატის მოწყობას კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში, და აგრეთვე კოოპერატიული პოპულიარული ლიტერატურის გამოცემის და გავრცელებას.

## 9. კოოპერაციის მუშაობა ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში.

კოოპერაციის უდიდესი სამეურნეო და აგრეთვე კულტურული მნიშვნელობის გამო, აუცილებელია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოოპერაციის განვითარებას საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში; ამ მხრივ საქირაო სახელმწიფოს, მისი ორგანოების და კოოპერატიული ცენტრების საორგანიზაციო და მატერიალური დახმარება და აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმა კოოპერატიულ აღმშენებლობაში.

## 10. კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები.

კოოპერაციის განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ დახმარების გაწვევის სფეროში უპირველეს ყოვლისა დაწესებული უნდა იქნეს განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები და გაძლიერებული უნდა იქნეს საბანკო კრედიტი, განსაკუთრებით ქვედა საფეხურის კოოპერაციაში. საეპროკომერციული ურთიერთობა კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობის, მისი სამეურნეო ორგანოების, ტრესტების და სინდიკატების შორის აგებული უნდა იქნეს კოოპერაციისათვის შაქსიმალურ ხელსაყრელ პირობების შექმნაზე; ეს კი უნდა გაპოზიტოს საუკეთესო ღირსების საქონლის მიწოდებაში და საქონლის კრედიტის ვადების და ფორმების განსაზღვრაში. საწვრიმალო ვაჭრობა უნდა გახდეს კოოპერაციის საქმედ. სახელმწიფო ვაჭრობა კი კოოპერაციის თანდათანობითი განმტკიცების შემდეგ უნდა შემოიფარგლოს საბითუმო და საბითუმოსაწვრიმალო ვაჭრობით.

სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერაციის შორის სახელმწიფო გვეგმათა სამართველო დახმარებით მიღებული უნდა იქნეს სრული შეთანხმება იმ საკითხში, თუ მასიური მოხმარების რა სახის საქონელი უნდა იქნეს დამზადებული. კოოპერაციისათვის ეგრეთ წოდებულ იძულებით ასორტისმენტის მიწოდებას სამეურნეო ორგანოების მხრივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

## 11. საბინაო საკითხი და კოოპერაცია.

საბინაო საკითხი მუშების მატერიალურ ყოფა-ცხოვრების ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის სისწორით და წარმატებით გადაჭრა შეუძლებელია მარტო სახელმწიფოებრივი ზომებით და და-

ხმარებით, აქ საქირაო კიდევ მოსახლეობის თვითმოქმედება და მისი მატერიალური მონაწილეობა. ასეთი თვითმოქმედების საუკეთესო ფორმა მშრომელთა საბინაო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში არის საბინაო კოოპერაცია, რომელმაც თავისი პრაქტიკული მუშაობის მცირე გამოცდილებით დამტკიცა თავისი მიზანშეწონილობა და სიკოცხლის უზარაანობა. საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ საბინაო კოოპერაციას.

## 12. პარტიის სპეციალური ამოცანა კოოპერაციის მიმართ.

იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლის გამო, რომელსაც ითამაშებს ნებაყოფლობით წევრობის სისტემაზე გადასული კოოპერაცია, ყრილობა კომუნისტურ პარტიის, მის ც. კ.ტის და ადგილობრივ ორგანოების განსაკუთრებით მნიშვნელოვან სპეციალურ ამოცანათ სთვლის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობის გაძლიერებას კოოპერაციაში და საუკეთესო პარტიულ სამეურნეო მუშაობის გამოყოფას კოოპერატიული მუშაობისათვის კოოპერაციის ყველა ორგანოებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში ახლათ მიღებულ წევრების ჩაბმას კოოპერატიულ აღმშენებლობაში. ც. ს. კ. და მ. გ. ი. ადგილობრივმა ორგანოებმა და საკონტროლო კომისიებმა მთელი თავისი ყურადღება უახლოეს პერიოდში უნდა მიაქციონ კოოპერაციის პრაქტიკული მუშაობის და მიღწევების დაწვრილებითი შემოწმებასა და შესწავლას.



## უანიშვნავი წარსულზე

რვა მუშის ისტორიისთვის.

1905 წლის რევოლიუციური მოძრაობის შემდეგ გამარჯვებულმა რევოლუციამ მრავალი წლებით შერყვა მუშათა ორგანიზაციები საიდუმლოებით მოცულ არალეგალურ პირობებში, „იატაკის ქვეშ“. 1905 წელს ფართო გაქანების შემდეგ იატაკის ქვეშ ჩამალულ მუშათა მოძრაობას ფრთები შეეკვეცა, აღარ არის ფართო მისი მოძრაობა, და მუშათა კლასის იდეოლოგი და ხელმძღვანელი ს. დემ. ორგანიზაციულ ახლად შექმნილ პირობებთან შეფარდებით აწარმოებს ვიწრო ჯგუფურ და იაჩიკურ სისტემას. რევო-

ციის სისტემატიური, გამუდმებული და სასტიკი დევნიტ შეწყუბუნებული ორგანიზაციები ნახევრად იშლება, და სკოლებს მხოლოდ საწარმოვო რაიონებში ან ქალაქებში, ისიც ყოველ მოსალოდნელ მოძრაობისათვის საჭიროა. პოლიტიკური „შტაბის“ სახით და მნიშვნელობით. 1905 წ. თავისუფალ მოძრაობის დროს ს.-დ. ორგანიზაციაში შემოსული ინტელიგენცია, გარდა მეორე ნაწილის, რომელიც სულით და გულით მუშათა მოძრაობასთან ერთად იყო ქირში და ლხინში, რეაქციის ტუქსევით შეშინებული ერთის (ხრივ და არალეგალურ სასტიკ პარტიულ დისციპლინას შეუწყვევლი, მეორეს მხრივ, ჩქარია გარბის ორგანიზაციებიდან და ნაწილი თავს „ნეიტრალტეტად“ აცხადებს. ნაწილიც სამუდამოდ ჰქრება პოლიტიკურ ჰორიზონტიდან.

მაგრამ, რეაქციის თარეში დიდხანს არ გაგჩქლებულა. ლენის ამბებმა ხელახლა გამოაფხიზლეს დროებით მისუსტებული მუშათა მოძრაობანი; დაიწყო მუშათა მოძრაობის განფხიზღების ხანა, მასიური გაფიცვები, ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებილებით თან და თან გრანდიოზულ სახეს ღებულობს. ახლად ამოძრავებულ მუშათა კლასს ესაჭიროება მეტი ასპარეზი სამოქმედოთ, მის ვიწროთ ეჩვენება „იატაკის“ პირობები. გამოსავლის საძებრად ხან „სახალხო უნივერსიტეტებს“ ეხეთქება, ხან კოოპერატივებს, ხან დრამატიულ წრეებს; და სხვა... მაგრამ, ფართო მოძრაობის დაკმაყოფილების წყურვილს ვერსად ვერა პოულობს და ისევ „იატაკის ქვეშ“ იზრდება და ფართოვდება მისი რიგები. მხოლოდ მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციის მესვეურები ვერა მოქმედებენ მოძრაობასთან ერთი მაჯის ცემით, ორგანიზაციის მაღალ წრეებში მოკალათებული ხელმძღვანელი ინტელიგენტები „ზანტობენ“, ვერ მისდევენ მუშათა წრეებს ახალი გამოფხიზლების გზაზე ისეთი სწრაფი ნაბიჯით, როგორც თავით მოძრაობა; აი აქ ისახება უკმაყოფილებანი ამოძრავებულ მუშურ ელემენტებსა და ხელმძღვანელ წრეებს შორის. ამოძრავებულ მუშათა კლასი საქართველოს ფარგალში ვერა პოულობს საჭირო ცოცხალ, ენერგიით აღსავსე გამოხატვის თავის პრესაში, პრესსა, სადაც ცხადია ორგანიზაციის მესვეურები იყენენ სათავეში, მოაღუნებულ, დარბილებულ არსებას წააგავდა და არა იმ რკინის ენერგიით

მქუხარე ორგანოს, რომელიც და როგორც ესაჭიროებოდა ახალ მოძრაობას: მოკლედ: ქართული პარტიული პრესსა უკან მისდევდა მუშათა მოძრაობას და აღნიშნავდა ხოლმე მის, მოძრაობის ეტაპებს, მაშინ, როცა ამოძრავებულ მუშათა კლასს ესაჭიროებოდა ტრიბუნი, მოაწოდებელი, და ენერგიული მოქმედების გაღრმავებისაკენ მიმითვებელი. დაე ამისი მიზეზი იყო ცენზორთა წითელი მელანი, და რეაქციის მეოხებით შესუსტებული მესვეურთა წრეები, ფაქტიკი ცხადია, ქართული პარტიული პრესა ვერ იყო ის ცოცხალი და წინმავალი პოლიტიკოსი, როგორც ესაჭიროებოდა 1912 წ. გარდატეხის ხანას.

ზევით უკი აღნიშნე, რომ მოძრავ მუშურ ელემენტებსა და დამდორებულ წრეებს შორის განსხვავებებს მიზეზი იყო, 1) გამოფხიზლებისაკენ გადატეხილ მუშათა ორგანიზაციის რიგებს ვერ მისდევდენ მისი ხელმძღვანელები და 2) პრესსა, პარტიული პრესსა უკან მისხანჩალებდა ამოძრავებულ მუშათა ტალღას. ეს იყო უმთავრესი კვანძი ყველა იმ „წვრილმან“ „მუშურ“ უკმაყოფილებათა, რომელნიც ხან ერთ ორგანიზაციაში და ხან მეორეში იჩენდენ თავს.

ყველა იმ უკმაყოფილებათა შორის, რომელნიც ოდესმე გამოჩენილა სოც. დემოკრ. რიგებში „მესვეურთა“ და „მოარიგეთა“ შორის პირველ და ორგანიზაციულად უნდა ჩაითვალოს „ქიათურის რვა მუშის“ გამოსვლა პრესის ფურცლებზე 1913 წ. დასასრულს.

1913 წ. მიწურულში ქიათურის რვა მუშამ გაუგზავნეს თავიანთი წერილი ს. დ. ორგანიზაციის მაშინდელ ცენტრალურ ორგანოს სახელწოდებით თუ არ ვცდები „აზრი“, რომელიც თბილისის ცენტურის რეპრესიების გამო ქუთაისში გამოდიოდა. წერილი მიმართული იყო ყველა გულწრფელ პარტიულ ამხანაგებისადმი, უმთავრესად-კი მოწინავე მუშებისადმი. წერილის შინაარსი დაახლოებით ჯამს უკეთებდა რეაქციას და მის მიერ დევნილ მუშათა მოძრაობას მის ორგანიზაციების საერთო დაუძლურებას და ვითომდა აქედან გამოწვეულ იმ მრავალ „წვრილმან“ და დაუსრულებელ „კარჩაკეტილობას“ შიგნით პარტიაში, რომელიც თვალ დაუნახავი იყო მასისთვის, და ერთგვარი, რეაქციის შიშით გამოწვეულ სიიღმლოებით მოცულ სასტიკ დისციპლინის სახელით სდევნიდნენ და არ აღდევდნენ საშუალებას სულ უმნი-

შენელო კრიტიკას ან თავისუფალ აზრს შიგნით პარტიაში, ის ამხანაგები, ვინც მაშინდელ მესვეურად ითვლებოდა. წერილში ფართო აღგილი ჰქონდა აგრეთვე დათმობილი პარტიის ცენტრალურ ორგანოს მდგომარეობასაც, აქ კი, წერილში პირდა-პირ და ხაზ გასმით იყო აღნიშნული, რომ ხანგრძლივი და სასტიკი რეაქციის დევნის მიერ მრავალი საუკეთესო პარტიული ამხანაგი მოსწყდა ზოგი ძალით, ზოგი ნებით პარტიულ საქმიანობას, და ვინც დარჩა თავის და პარტიული საქმის გადარჩენის მიზნით არალეგალურ პირობებში იმყოფება, გარეთ-კი ცხოვრება წინ წავიდა, მუშათა მოძრაობა ახალ ფაზაში გადავიდა, დაიწყო ფართო ამოძრავება აქამდე მისუსტებული მუშათა მოძრაობის, და ამას ვერა ხედავენ ის მესვეურნი, რომელნიც არალეგალური მდგომარეობის გამო მოწყვეტილნი არიან ნამდვილ მუშათა წრეებს და ცენტრებს, ამიტომ საჭიროა, როგორც პარტიულმა ორგანომ, ისე მისმა პრესამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და გააფართოვოს თავისი მუშაობა ღირებულების მხრივ ახალ მოძრაობასთან შეფარდებით, „რვა მუშა“ ამ თავის პრინციპალურად დასმულ კითხვების განსახორციელებლად მიუთითებდა, მუშათა პარტიულ კრიტიკის განსახლებრულ ღონემდე თავისუფლებათზე და საკონტროლო კომისიის შემოღებას (იმ დროს პარტიას არა ჰყავდა საკონტრ. კომისია პირველად იქნა არჩეული რვა მუშის გამოსვლის შემდეგ 1917 წ. ა. კ. პირველ პარტიულ ყრილობაზედ). პრესაში-კი მეტი ყურადღების მიპყრობას უმთავრესად მუშათა ცხოვრების გამოხატველ მუშების წერილებზე და იმ პარტიულ ამხ. წერილებზე, რომელთა შინაარსის ვითომდა შეუფერებლობის გამო რომელიმე არალეგალურ რედაქტორის წითელი მსახერელი ხაზი ესმებოდა სიგძე-სიგანეზე და სარედაქციო გოდრის ღირსად-და ხდებოდა, ეს იმ დროს, როცა მრავალ ძველ საუკეთესო ამხ. წერილები არ იბეჭდებოდა და სამაგიეროდ ხელნაწერი ხელიდან-ხელში გადადიოდა. წერილი თავდებოდა დაახლოებით შემდეგი ფორმულით: დასმული კითხვები იმდენად საჭირობოროტო მნიშვნელობისა არის, როგორც ს. დ. ორგანიზაციის ისე, მისი ორგანოს, შემდეგი, მუშათა მოძრაობასთან ერთად განვითარებისთვის, რომ ვთხოვთ ყველა პარტიულ მოწინავე ამხ. მუშებს თავიანთი მიუღვამელი აზრი გამოსთქვან

### ნ. ჟორდანიას წერილის საპასუხოდ.

აღნიშნულ კითხვებზე. წერილს ხელს აწერენ ქიათურის შემდეგი მუშები: ი. მტრეველი (იგივე საველი ხუციშვილი), ან. ხიზანაშვილი, ფ. ნინუა, სან. მეტრეველი, ილ. თარგამაძე, მელ. არველაძე, პ. პეტრიაშვილი და აკ. მიქელაძე (ამ უკანასკნელმა ერთი წლის შემდეგ უარყო ოპოზიციონერობა და შეუერთდა პოზიციონერებს) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი რვა მუშა, იყვნენ უკანასკნელის გარდა, ძველი მუშები, რომელთა პარტიული სტაჟი იწყებოდა არა უგვიანეს 1903—4 წლებისა, აგრეთვე მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის გარემოება, რომ მუშათა მოძრაობის ახალი ხანა, მისი გამოფხიზლების მომენტი პირველ ყოვლისა შემჩნეულ იქმნა საქართველოს წარმოების ცენტრში, იქ, სადაც საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი პროლეტარული ელემენტები არიან თავმოყრილი და მასასადავებ მუშათა მოძრაობის მაჯის-ცემის გამოხატველიც.

მრავალ აზრს, რომელთაც არ იცოდნენ ქიათურის პარტიულ მუშაობის ნამდვილი სახე, საქმე ისე ჰქონდათ წარმოდგენილი თითქოს მთელ ქიათურაში მხოლოდ „რვა“ კაცი არის ახალი სიტყვის მთქმელი ხოლო დანარჩენები არ იზიარებდნენ მათ ხაზს და ზურგს უმაგრებდნენ „პოზიციონერებს“ ნამდვილად-კი ასე არ იყო. ჯერ კიდევ „რვა მუშის“ გამოსვლამდე რამდენიმე იაჩეიკა, სადაც უფრო გაბედვით წინააღმდეგნენ ზოგ „წვრილმანს“ მესვეურთა საქციელისას, ორგანიზაციის გარეშე დააყენეს დიპლომატიური ხრიკით, არც უშაღღეს ორგანიზაციის წარმომადგენლები მიდიოდნენ მათთან, ახლა მათ უძახდნენ თავიანთ კრებებზედ. ეს დიდი ფაქტია! მაგრამ რამდენი იყო ისეთი შემთხვევა, როცა მრავალი აშხანაგები უშკირესობაში მყოფნი დისციპლინის შიშით ჩუმად იყვნენ; მხოლოდ ჩვენ, ოპოზიციონერები, როცა სააშუაროზე გამოვედით, გვიზიარებდნენ თავიანთ ზრახვებს. ამრიგად ქიათურის რვა მუშას ჩააბარეს ზემო აღნიშნული კითხვების დაყენების ინიციატივა იმ მოძრაება ელემენტებმა, რომელნიც გრძნობდნენ ორგანიზაციის და პრესის სისუსტეს.

#### ჯაფარიძე.

(გაგრძელება იქნება).



ჩვენ, არსენალის მუშები, გავცანით რა ნ. ჟორდანიას საპასუხო წერილს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ჩვენ მიერ 25 აგვისტოს გადაღებული ნაბიჯი ყოფილა სავსებით სწორი და სამართლიანი, რომ ნ. ჟორდანიას უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს მუშათა კლასის მემბრისტრად, ის სავსებით გადაბარებულია ბურჟუაზიის და საერთოდ კონტრ-რევოლუციის ბანაკში და იზიარებს იმას, რასაც საქართველოს მენშევიკური პარტია აკეთებდა ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ეს კი არ არის მუშური, სოციალისტური საქმე. ესაა რეაქციონური მუშაობა.

ამიტომ ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მთელი ჩვენი არსებით უერთდებით 43-ის პასუხს ნ. ჟორდანიასადმი და ფიცსა ვსდებთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ რევოლუციის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

- |                          |                           |
|--------------------------|---------------------------|
| 1) პეტრე ქართველიშვილი.  | 20) ოქროპირიძე ბესარიონი. |
| 2) ნიკოლოზ აბულიანიც.    | 21) აბაშიძე ესტატე.       |
| 3) არამ რევაზოვი.        | 22) ანთიძე ლეონტი.        |
| 4) ლამურაშვილი,          | 23) სტეპანოვი უ.          |
| 5) სტეფანაშვილი პეტრე.   | 24) ჯინაძე.               |
| 6) მ. მენაბდიშვილი.      | 25) სარქის ტერხაჩატუროვი. |
| 7) გ. აბაზაძე.           | 26) ბუჯიაშვილი.           |
| 8) მარგანაშვილი.         | 27) შმიდტ.                |
| 9) ბაკუროვი.             | 28) ბემლერ.               |
| 10) ვ. ტერ-გრიგოროვი.    | 29) ცეც.                  |
| 11) რუდენიკოვი.          | 30) მერკენტანერ.          |
| 12) ივანე მგალობლიშვილი. | 31) კრიგ.                 |
| 13) ჩუფინოვი.            | 32) კლდიაშვილი გიორგი.    |
| 14) ვ. დოგუზაშვილი,      | 33) ლომიაშვილი.           |
| 15) ბავდასაროვი ტ.       | 34) კლდიაშვილი მიხეილი.   |
| 16) მეჭაბიშვილი ივანე.   | 35) ნადირაშვილი ელიაზარ.  |
| 17) ფერაშვილი ივანე.     | 36) გელაშვილი პეტრე.      |
| 18) გიგაური დავითი.      | 37) ხიმშიაშვილი მოსე.     |
| 19) ოქროპირიძე მიხაილი.  |                           |

ჩვენ დღემდე ვითვლებოდით ს. ს. დ. მ. პ.წევრებად, მაგრამ გავცანით რა ნოე ჟორდანიას წერილს და 43 ღირსეულ პასუხს, თავს ვანებებთ მენშევიკურ ავანტიურისტულ პარტიას და ვუერთდებით ჩვენ აშხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ 25—30 აგვისტოს 1923 წ. გაშორდნენ ბანდიტურ პარტიას და დასდგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ნოე ჟორდანიას პასუხს ველოდით, გვეგონა გზას მოგვეცემა და გვიჩვენებდა უარი გვეთქა არალეგალურ ცეკას ბოროტმოქმედება საქმიანობაზე, მაგრამ იმედები გავვიცრუვდა. დღეს ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული ბელადი ნ. ჟორდანიას მთლიანად იზიარებს „ცეკას“ ბანდიტურ პოლიტიკას. ჩვენ მუშებს არაფერი საერთო არ გვაქვს ამ ავანტიურისტებთან და საჯაროდ ვაცხადებთ: არალეგალური ცეკა და მისი სულის ჩამდგმელი ემიგრაცია ემსახურება ევროპის იმპერიალისტებს, გამოხატავს ბურჟუაზიის სულისკვეთებას და არა საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

რესებს. ვუერთდებით 43-ის პასუხს და ვსდებთ 25—30 აგვისტოს პლატფორმაზე.

**იონანე უშვერიძე, ნესტორ ბასილაშვილი, სიმონ ბუაჩიძე, იოსებ ცხადაძე, ელაზარ ჩუბინიძე, ნიკოლოზ გაჩეჩილაძე.**

#### ფოთის ყოფილი მენშევიკების კრება.

ნ. იენის ქ. ფოთში უსდგა ყოფილ მენშევიკების კრება. დაესწრო 200-მდე კაცი. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ნ. ჟორდანიას წერილის შესახებ.

პრეზიდიუმში აირჩიეს ს. გოგობერიძე, ლ. ტულუში, სოლ. პაიჭაძე, ქალდეშვილი და ბასილია. საპატიო თავმჯდომარეობა არჩეულ იქმნა აშხ. ა. რუხაძე.

ვრცული მოხსენების შემდეგ, რომელიც გააკეთა აშხ. ა. რუხაძემ, კამათში მოწაწილეობა მიიღეს აშხ. აშხ. ს. გოგობერიძემ, ს. პაიჭაძემ, ვ. მ. ხარაძემ და სხვებმა.

გამოვიდნენ აგრეთვე იქ დამსწრე აშხ. კომუნისტებიდან აშხ. ს. ლამბაროვი, ალ.

ვაშაძე, არ. მეგრულიშვილი და გ. ლომ-  
თათიძე. ყველანი ერთხმით ამტკიცებდენ  
ფაქტებით ხელში, რომ ნ. ჟორდანიამ  
საშინლად გადაამახინჯა თავის წერილში  
სინამდვილე და მისი ხაზი ეწინააღმდე-  
გება რევოლუციის ინტერესებს, არაა  
მარქსისტული და სხვა.

აზრთა-გაცვლა-გამოცვლის შემდეგ  
კრება ერთხმით უერთდება თბილისელ  
ამხანაგების (43-ს) პასუხს ნ. ჟორდანიას  
წერილზე.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე და  
დამთავრდა ღამის 2 საათზე. X



### პასტარა ფელაქონი.

„წო წ ი ა ლ ა“.

მარქსის მთავრობა შედგე-  
ბა შუათანა პარტიების: ცენ-  
ტრის, გერმანიის სახალხო  
პარტიის და დემოკრატების  
პარტიების წარმომადგენე-  
ლებიდან. ეს „ბლოკი“  
სჭარბობს ცალ-ცალკე ყვე-  
ლა პარტიებს, ხოლო პარ-  
ლამენტში ყველა პარტიებს  
კი არა.

**ერთი ემიგ.** ისევ და ისევ მარქსითა

პარი—ალა—ლო...  
საქმე არ წავა მარცხნითა,  
პარი—პალა—ლო.

**მეორე ემიგ.** ისევ და ისევ მარქსითა

პარი—პალა—ლო...  
საქმე არ წავა მარცხნითა,  
პარი—პალა—ლო.

თურმე ასე მღერიან ყოვლად უწყმიდე-  
სი კონტრარეველუციონული ჩვენი ემი-  
გრაცია ბერლინში. მართალია ამ სიმღე-  
რის დროს ცოტა „შეზარბოშება“ არის  
საჭირო და მაშინ სიმღერა უფრო პარმო-  
ნიული იქნება, მაგრამ, როგორც მოგე-  
ხსენებათ, ამ ჟამად ბერლინში ღვირო კი  
არა, პიეც არ იშოვება, რადგან მუშები  
გაფიცულა. ზოგიერთები იმასაც კი ამ-  
ბობენ, რომ მუშები გაფიცულნი კი არ  
არიან, არამედ ახალმა მთავრობამ ძველი  
შემადგენლობით დასვენა ისინი.

ქართული ანდაზა: წელს ხელი ჰბანს,  
ორივე კი პირსო—სწორედ ამ დებულე-  
ბის მიხედვით (ალბად ჩვენებმა ასწავლეს)  
შედგა გერმანიაში ძველი მარქსის მიერ  
ძველი შემადგენლობით ახალი მარქსის  
ახალი მთავრობა. პარლამენტის სამი პარ-  
ტია (სამი იმპერატორი, რომ ღმერთიც სამება)  
შეკავშირებულია „ბლოკი“. თ

ბლოკი ძალიან ვარგი საქმე... საერ.  
თო კეთილდღეობისათვის (ამ შემთხვევა-


ში თავის) თითველი მათგანი ჰკარგავს  
თავის სახეს და სთმობს თავის პროგრამას  
აქედან ლოლაკურად გამომდინარეობს,  
რომ მათ უნდა მიიღონ ყველაფერი სხვისი  
და ეს „სხვისი“ იგივეა, რაც „თავისი“

პარლამენტის დარბაზში გამართულია  
სასწორი, იგივე წოწიალა. ამ წოწიალას  
ერთ მხარეს სდგას „ბლოკი“ ე. ი. ახალი  
მარქსის ახალი მთავრობა; მეორე მხარეს  
კი სხვა პარტიები, რომლებსაც არ აკავ-  
შირებს ერთმანეთთან ბლოკი, მარქსის  
„ბლოკი“ (რადგან სხვა პარტიები ცალ-  
ცალკეა) სწონის მათ და ეწყარება ნია-  
დაგს. მაგრამ, რომ სხვა პარტიებმა მიზა-  
ძონ მარქს და შექმნან „ბლოკი“, მაშინ  
მარქსის „ბლოკი“ ჰაერში გაექანება. სხეი-  
სი დახმარებით (და ეს არც ისე ძნელი  
საპოვნელია „დემოკრატიულ“ და ბურ-  
ჟუაზიულ გერმანიაში), მარქსის „ბლოკი“  
მეტოქეობას გაუწევს მოწინააღმდეგე  
ბლოკს ძალთა ჰიდილში წოწიალა იწო-  
წიალებს.

ასეთი თამაში ხშირად იციან ბავშვებმა  
დროს მოსაკლავად და გასართობად კარ-  
გია ეს გამოგონება. ამასთან ერთად ძა-  
ლიან მარტველია ამ ზაფხულში, რად-  
გან მოძრაობის დროს ჰაერის ტალღები  
ირჩევიან და ცხელ ორგანიზმს (და მით  
უფრო თავს) აკრილებს.

გებრტი, როგორც მენშევიკი და „სო-  
ცილისტი“ ქვეიანი კაცია, მაგრამ აქ  
ერთ შეცდომას ჯიბრი უშვებს. მოსალოდ-  
ნელია, როცა თამაში და ჯიბრი იქნება  
გამართული, წოწიალზე წონასწორობა  
ვერ დაიცვან ბავშვებმა და ერთ მშვე-  
ნიერ დღეს თავ-პირ დამტვრეული დაე-  
ნარცხნონ ძირს. ეს მეტათ ეწყინებათ  
გერმანიის მუშებს, რომლებსაც დასვენება  
მისცეს გაფიცვის გამო და არაფერს ეკი-  
თხებიან... მაშინ მუშებს მოუწყვეს ქარ-  
ხნებში დაბრუნება, მუშაობა და სახელ-  
მწიფოს რულის მართვა... ეს კი „ბლოკს“  
და პარლამენტს ძლიერ ავნებდა.

შენგო.



## მუშათა წერილები

### როგორი მდინარეა კარ- სონალია საჭირო სანატორი- უმებიანთის?

ჩვენ ვიცით, რომ მრავალი წლების  
დავადმყოფებულს მუშა-მოსამსახურეს,  
რაც შედეგია შეზღუდული დროის ექსპლო-  
ატაციისა, დღეს საბჭოთა ხელის უფლე-  
ბა აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას  
ამ ძველი რეჟიმის მიერ დაუძღურებულ  
მუშებს და მათი ჯანმრთელობის აღსად-  
გენათ დიდ თანხასაც სდებს, მაგრამ სა-  
ჭიროა ეს ხარჯები და ზრუნვა მთლიან-  
ად იყვეს გამოყენებული. სამწუხაროდ  
ჩვენ სავსებით ვერ ვიყენებთ იმ საშუა-  
ლებებს, რომლითაც შეიძლება ბრძო-  
ლა ამა თუ იმ სენთან ერთი ფრა-  
ნგი ექიმის ლაპარაკობს: ავადმყოფო-  
ბა უკოდინარობააო ეს მართალია, მაგა-  
ლითად ავადმყოფი იგზავნება სანატო-  
რიუმში ორი ან სამი თვით, დაშარჩენ  
დროს კი იგი ატარებს თავის ოჯახში,  
სამწუხაროდ ზოგიერთ ავადმყოფს ჰგო-  
ნია, რომ იგი იმ სენისაგან, რომლის გა-  
მო იყო გავზავნილი სანატორიუმში, სრუ-  
ლიად განთავისუფლდა და ის ეწევა მუ-  
შაობას და ცხოვრებას ისე, როგორც  
ავადმყოფობამდე, შედეგი კი ის არის  
ხოლო, რომ მისი მოლონიერება და ძა-

ლა, რომელიც მან შეიძინა სანატორი-  
უმში კვების და დასვენების საშუალებით  
ისევე ხელიდან ეცლება და მისი ორგანი-  
ზმი მალე უბრუნდება ძველ ფიზიკურს  
მდგომარეობას, რადგანაც მას სანატო-  
რიუმიდან არ გამოატანეს, სათანადო  
ცოდნა და დარიგება, რომ კვლავ ეს ასე  
არ მოხდეს, აუცილებლად საჭიროა სანა-  
ტორიუმებში სწარმოებდეს ლექციების  
კითხვა და სხვადასხვა დარიგება საუბრე-  
ბი იმ თემებზე, რომლითაც ავადმყო-  
ფები არიან შეპყრობილი.

სანატორიუმში უნდა იყვეს შკოლა,  
სადაც ავადმყოფებმა უნდა შეიძინოს  
გაფრთხილება და თავის მოვლა ნორმა-  
ლური ცხოვრების საწარმოებლად. აზი-  
სათვის ლექციების კითხვა და საუბარი  
ავადმყოფებთან უნდა იკისრონ თვითონ  
ექიმებმა, რომელნიც იმყოფებიან იმავე  
სანატორიუმებში. ექიმებმა უნდა სულიერ-  
რად და გონებრივად დააკმაყოფილონ  
ავადმყოფები, რომ შემდეგისათვის ისინი  
უფთხილდებოდნენ თავიანთ თავს. ასე-  
თი ექიმები ჩვენ შეგვიძლიან გამოვან-  
ხოთ. მაგალითად შარშან ექიმმა ლო-  
მაურმა პატარა ცემის სანატორიუმში  
სისტემატიურად მოაწყო თითქმის ლექ-  
ციების კითხვა, რაზედაც პრესის საშუა-  
ლებით დიდი მადლობაც მიიღო, სხვა  
ექიმებსაც შეეძლოთ, მაგრამ ალბად ნა-

კლებად იყვნენ დაინტერესებულნი, ლომა-ურისთანავე ექიმები მართლა, რომ მადლო-ბის ღირსნი არიან. ვიმეორებთ, რომ სანა-ტორიუმ: უნდა იყვეს გადაქცეული შკო-ლაღ.

მუშკორი მკერვალი ნიკო.



### აღმსკომის სადარბაზო საქ-სიის სახუარდებოდ

უნივერსიტეტის ქუჩაზე პირველ უბან-ში აქვს საკუთარი ორ სართულიანი სახ-ლი ვინმე გაბლიას. ამ სახლის წინ მი-სავალში კი გამოიყურება ძველი დუქნის ნანგრევები, სადაც ყოფილა ოარი დარა-ბა № 28 და 29. შემთხვევით გავეცა-ნი იმ მოვარეებს, რომლებსაც იმ ად-გილზედ ჰქონიათ დუქნები. ჩვენ 1923 წელს იანვრის პირველ რიცხვებში წინა-დადება მოგვცა მოქ. გაბლიაიმ, რომ დაგვეცალა ეს დარაბები, რადგანაც უნ-და დაეანგრიოვო ჩვენ ჩქარა ვერ ვიშო-ვეთ შესაფერი ადგილები, რომ გადავსუ-ლიყავით, გავიდა რამოდენიმე თვე. ერთ მთვანს დაუტლია დარაბა და მეპურე კი ჯერჯერობით დარჩენილა. მოქალაქე გა-ბლიაის აღარ დაუტლია და სახურავი მოუხსნია, შემდეგ კი კედელი ჩამოუნგრე-ვია და ეს იმ დროს, როდესაც ფქვილე-ბი შიგ ეწყა. ასე შემოგვიჩვილეს ამ მო-ქალაქეებმა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, — დარაბის დანგრევის უფლება ეძლევათ პატრონებს იმ შემთხვევაში თუ 1) და-ძველებულია შენობა 2) თუ მის მაგიფ-რად უნდა ააშენოს ბინა სადგომათ 3) რომელიც დიდ ხანს არ ქირავდება. თავ-ზედ დანგრევის უფლება კი კერძო პი-როვნებას არ უნდა ჰქონდეს.

საინტერესოა ვიცოდეთ: ჰქონდა თუ არა მოქ. გაბლიაის დანგრევის უფლება. ჩვენის აზრით ამის უფლებას ვერავინ მისცემდა იმ დროს, როდესაც დუქნები გაქარავებული იყო და ასე თუ ისე აღ-მსკომის სალაროსაც შემოსავალი ჰქონ-და. უკეთუ გამშენიერების მხრივ იქნა დანგრევის ნებართვა მიცემული, ამ დუქ-ნის ნაწილი ჯერ კიდევ დასანგრევია და ამ მხრივაც არაფერია გაკეთებული, თუმ-ცა კი ერთ წელზედ მეტია, რაც დაუწყია დანგრევა. საჭიროა ამ საქმეს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი აკოსტა



## მუშათა საერთო პრეზა გე-6 რაიონში

კვირას, 11 მაისს შესდგა მუშკორის პურის საცხობების, გალეტის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და რევ-ტრიბუნა-ლის წითელ არმიელთა საერთო კრება. მუშები კრებას ბლოზად დაესწრო.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკით-ხები: 1) ადგილკომის ანგარიშები, 2) სა-რევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მოხსე-ნება აშხ. ვოროვისკის მოკვლის შესახებ წლის თავის გამო და დელეგატების არჩევა კავშირის საქალაქო კონფერენ-ციაზე.

ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსე-ნება გააკეთა ი. კობერიძემ, სარევიზიო კომისიის სახელით კი თაიროვმა, რომელმაც აღნიშნა ადგილკომის და სხვა

კომისიების მუშაობაში უმნიშვნელო ნაკ-ლები. კრებამ ადგილკომის მუშაობა და-მაკმაყოფილებლად სცნო.

ამხანაგ ვოროვისკის მოკვლის შესახებ მოხსენება წაიკითხა აშხ. დანელიამ. მო-მხსენებელმა გააცნო მუშებს, მოკლე ბიოგრაფია აშხ. ვოროვისკის და ის დიდი მუშაობა, რომელიც მან ჩაატარა ევრო-პის და აზიის ბურჟუაზიულ დიპლომა-ტებთან ბრძოლაში, როგორც რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენელმა. ვო-როვისკი ფიზიკად სდარაჯობდა ევროპაში მუშათა სახელმწიფოს ინტერესებს და ამ სადარაჯოზე დაცვა ის-ო, განაცხადა მომ-ხსენებელმა. კრებამ ფეხზე ადგომით პა-ტივი სცა აშხ. ვოროვისკის ხსოვნას.

დასასრულ არჩეულ იქნენ დელეგატე-ბი კავშირის საქალაქო კონფერენციაზე.

4.



## ნერილები პროვინსიიდან.

### პოპუარასტივის საქმე თელა-ვის მაზრაში

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მთა-ვარ საკითხთაგანია-სოფლის დაახლოვება ქალაქთან და, „მაკრატლის“ წვერების ერთმანეთთან შეერთება.

აი უპირველესი ამოცანა, რაც აუცი-ლებლივ დადებითად უნდა გადაიჭრას და ცხოვრებაში გატარდეს.

როგორც მუდამ ეამს უსწავლებილათ აშხ. **ლენინს**, **ლ. ტროცკის**, სწორეთ, ამ საერთაშორისო პროლეტარიატის მე-თაურთ, ბელადების ნათქვამი ყველამ საყურეთ უნდა გავიკეთოთ და ვეცადოთ ცხოვრებაში ამ შუაფენილ გზით ვიაროთ, რათა მივადწიოთ ჩვენს საბოლოო გა-მარჯვებას — კომუნისმს.

სოფელი უნდა დაეუხახლოვოთ ქალაქს, მაგრამ რაფერ, რა საშუალებით მოხდება ეს დაახლოვება, შედულება ამ ორ ძმებ შორის?

ეს უსათუოდ უნდა მოხდეს კოოპერა-ციის და შეფობის საშუალებით, ესე იგი ეკონომიურ და კულტურულ სფეროში.

თელავი თავის მაზრით, ამ დარგში ჩამორჩენილათ არ შეიძლება ჩავთვალოთ; აქ თითქმის ყოველ დიდ თუ პატარა და-ბა — სოფლებში არსებობს კოოპერატივე-ბი, რომელთაც ჩვენი მშრომელი გლე-ხობისათვის დაუფასებელი და ღირსშესა-ნიშნავი სარგებლობა მოაქვთ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა ჩვენს მაზრა-

ში კიდევ მოიპოვება მრავალი სოფელი, სადაც არ არის გახსნილი კოოპერატიუ-ლი დაწესებულება და დაბნევილი გლეხკაცობა მწარეთ გმინავს ჩარჩ-ფაქარ წურბელების და სპეკულიანტების უღელ-ქვეშ.

საჭიროა მიღებ-ლ იქმნას სასწრაფო ზომები, რათა ამ გეგარ მიყრუებულ ჩა-მორჩენილ სოფლებშიც გაიხსნას კოოპე-რატიული დაწესებულებები და ამით გა-დავარჩინოთ ჩვენი სოფლის მუშა-გლეხი სპეკულიანტების ბასრ ბრჭყალებს.

თორემ თუ ამისთანა საჭირობოროტო საკითხი გლეხს დადებითად და მის სა-სარგებლოთ არ გადაუჭვრით, ის მალე სასოწარკვეთილებას მიეცემა და შეიძლე-ბა ათასგვარ პროვოკაციის ქსელშიც გაეხას...

იქნებ მიპასუხოვნ, რომ სოფლათ მო-მუშავე კოოპერატორები არა გვეყავს და საქმის მოგვარება ამიტომ ძნელდება!


ეს დიდი შეცდომაა.

ჩვენ მომზადებულ მუშაკების სიმცირე ვერ შეგვაშინებს, რადგან ყოფილ გენ-შევიკები სრულიად თავისუფალნი არიან, რომლებსაც კოოპერაციის საქმეში ჩაბმა უეჭველათ საჭიროა და მიზანშეწონილი.

მხოლოდ, საჭიროა სურვილი, ვაბე-დული ნაბიჯის გადადგმა და დანარჩენი ადვილია. მაშასადამე, მეტი ვაბედულება, მეტი ენერგიული მუშაობა და კოტა-ლაპარაკი, თორემ ჩვენ უღალატებთ ჩვენ ბელად **ლენინის** ნაანდერძვეს, რომელ-

მაც დაგვავალა მთავარი და მტკიცე კავში-  
რის შეკვრა სოფლის გლეხის და ქალაქის  
პროლეტარიატ შორის.

ივ. დავთიანი.



ს ა შ მ ა ა ს მ რ ი ( გ შ რ ი ა ).

სახალხო სახლის სადამშენებლო კომი-  
სია უღრმეს მადლობას უცხადებს იმ  
პირთ, რომლებმაც კეთილ ინებებს და  
დახმარება—გაგვიწიეს ხსენებულ სახლის  
დაშთავრებაში.

შემომწირველთა სია:

- 1 ექიმ ს. ნიკურაძემ . . . . . 10 მან.
- 2 " კ. ცერცვაძემ . . . . . 10 "
- 3 " გ. შანიძემ . . . . . 10 "
- 4 " ს. მსხილაძემ . . . . . 10 "

- 5 " ავ. ნიკურაძემ . . . . . 10 "
- 6 " კ. შანიძემ . . . . . 5 "
- 7 " ვ. მსხილაძემ . . . . . 5 "
- 8 " ვ. ზაქარეიშვილმა . . . . . 5 "
- 9 " ი. სხვიტარიძემ . . . . . 5 "
- 10 " ე. კილაძემ . . . . . 5 "
- 11 " ბ. შანიძემ . . . . . 5 "
- 12 " ნ. შანიძემ . . . . . 3 "
- 13 " ა. ბოცვაძემ . . . . . 3 "
- 14 " ბ. კვიციანიძემ . . . . . 3 "
- 15 " ი. ჩაჩუამ . . . . . 1 "
- 16 " იორ. გავუამ . . . . . 1 "
- 17 " ლ. თარგამაძემ . . . . . 1 "
- 18 " ტ. ჩაჩუამ . . . . . 1 "
- 19 " იოს. ხუნდაძემ . . . . . 3 "

სულ . . . 96 მან.

კომისიის დავალებით ლ. ყენია.

7/VI 24 წელი.



# პოლიტიკური მიმდინარეობა

(კვირიდან-კვირამდე).

წარსულ კვირას ყურადღებას იქცევდა  
ის პოლიტიკური კრიზისი საფრანგეთში,  
რომელსაც საფრანგეთისავე პრესა ახასია-  
თებდა, როგორც რევიმის კრიზისს.

მთელი ბრძოლა სწარმოებდა მალე-  
რანის გადადგომის გარშემო. მილერანმა  
კი კონსტიტუციაც დაარღვია და ყველა-  
ფერი ოღონდ შეენარჩუნებია თავისი პო-  
სტი, მაგრამ ვერას გახდა.

მან გამოახტუნა ვინმე მარსელი და  
მას შეადგენია მთავრობა:

პალატაში და სენატში კენჭის ყრის  
შემდეგ მარსალის კაბინეტი გადადგა.

მილიერანმა განაცხადა, რომ მასაც  
აქვს განზრახული გადადგომა.

სამშაბათს, პრეზიდენტის წერილის წა-  
კითხვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ  
329 ხმის უმრავლესობით 214-ის წინააღმ-  
დეგ მიიღო ერთიოვანი წინადადება სამინი-  
სტროსთან ყოველგვარ მოლაპარაკების შე-  
წყვეტის შესახებ. სენატმა ანალოგიურ  
დადგენილება გამოიტანა. შესაძლე-  
ბელია პარასკევს ვერსალში მოხდეს ახა-  
ლი პრეზიდენტის არჩევა.

მინისტრთა საბჭომ დანიშნა პარლამენ-  
ტში მთავრობის დეკლარაციის გამოქვე-  
ყნების დღე. შემდეგ მარსალმა წარუდგინ-  
ა მილიერანსა კაბინეტის წევრები, დე-  
პუტატთა პალატის სხდომა რამდენიმე  
წუთს გაგრძელდა და ატარებდა მხო-  
ლოდ ფორმალურ ხასიათს. რეიბელი დე-  
პუტატთა პალატაში და შერონი სენატ-

ში 9 ივნისს შეიტანებდნენ შეკითხვას იმ  
პირობების შესახებ, რომლებშიაც შესდგა  
მარსალის კაბინეტი.

მემარცხენე ბლოკის ფრაქციებმა ერთ-  
სულაო ნურად მიიღეს შემდეგი რეზო-  
ლიუცია, რომელიც შეტანილ იქნა პა-  
ლატაში.

„პალატა, რომელმაც მტკიცედ გადას-  
წყვიტა არ იქონიოს დამოკიდებულება  
იმ სამინისტროსთან, რომლის თვით შე-  
მადგენლობა არის პარლამენტის უფლე-  
ბების უარყოფა, უნდას ამოიხსნას არა კონ-  
სტიტუციონურ კამათზე, რომლისათვისაც  
ის შექმნილია, და ადგენს გადასდოს  
დისკუსია იმ დღემდე, როდესაც მის წი-  
ნაზე წარსდგება მთავრობა, არჩეული  
ქვეყნის სუვერენული „ნების თანახმად“.

აქედან აშკარაა, რომ მილიერანის  
დღეები დათვლილია და კაბინეტის შედ-  
გენა არ აცდება ერთიოვანს. და შეიძლება,  
სანამ ეს ეურნალი მკითხველამდე მიად-  
წევს, ერთიოვან კიდევაც შეადგინოს მთა-  
ვრობა.

ინგლისში ეს ერთი კვირაა, რაც გრან-  
დიოზულმა გაფიცვამ იფეთქა.

გაფიცვამ რკინის გზელები და მოძ-  
რაობა შესწყდა.

ყველა გაფიცულების დღეგატათა კონ-  
ფერენციამ დაადგინა განაგრძოს გაფი-  
ცვა ყველა მოთხოვნისათვის დაკმაყო-  
ფილებამდე.

დიდი ცენტრალური რკინის გზის სა-  
ხელოსნოების მუშები თანახმა არიან შე-  
ერთდნენ გაფიცვას. დასავლეთის რკინის  
გზის ბირმინგემის სახელოსნოები მიანც  
მუშაობენ, ვინაიდან მუშებმა დაუჯერეს  
კავშირის რჩედას მუშაობის განახლების  
შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის  
ელექტრონის რკინის გზათა საზოგადოე-  
ბანი ირწმუნებოდა, რომ მდგომარეობა  
გზებზე უმჯობესდება, გუშინ მოხდა მო-  
ძრაობის სრული შეწყვეტა, როპელიც  
გაგრძელდა ნახევარი საათის განმავლო-  
ბაში. კავშირების უბრალო წევრების  
რიგებში ბრძოლის განწყობილების ზრდას  
მოწმობენ მრავალრიცხოვანი რეზოლიუ-  
ციები და მოთხოვნისებები იმის შესა-  
ხებ, რომ რკინისგზელთა ნაციონალური  
კავშირის აღმასკომმა მხარი დაუჭიროს  
გაფიცვებს.

დასავლეთის რკინის გზის მუშებმა მა-  
სიურ მიტინგზე დაადგინეს გააერცლონ  
მტვირთავების გაფიცვა ლონდონის ყვე-  
ლა საქონლის საწყობებში, თუ კავშირი  
მხარს არ დაუჭერს რკინის გზის სახელო-  
ლოსნოების მუშებს.

ლონდონის მიწის-ქვეშა რკინის გზის  
31 სადგური დახურულია. შაბათს დახუ-  
რული სადგურების რიცხვი 60-მდე გაი-  
ზარდა.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ,  
მთავრობა მზარს უჭერს შტრეიკებრსე-  
რებს.

ვენახოთ რა გამოვა.

გერმანია ხომ უცნარ ქვეყნად გახდა ამ  
უკანასკნელ წლებში. რუაქცია და რევიო-  
ლიუცია იქ ხშირად სცვლის ერთმანეთს,  
ამ პოლიტიკური დაუდგრობის მიზეზი რე-  
პარაციების გადახდის საკითხია, ამ მხრივ  
საინტერესოა კამათი რეიხსტაგში.

კამათი რეიხსტაგში დაიწყო სახალხო  
პარტიის, ცენტრისა და დემოკრატების  
განცხადების წაკითხვით. ძალაუფოების  
ისევ მარქსის მთავრობისათვის გადაცემის,  
განცხადება ხსნის ნაციონალისტების გა-  
ურკვეველი პოზიციით ექსპერტთა მიერ  
წარმოდგენილი გეგმის მიმართ. განცხადე-  
ბა ნდობას უცხადებს მარქსის კაბინეტს  
და მოითხოვს სასწრაფოდ მიღებას იმ  
ლონისძიებებისას, რომლებიც ექსპერტთა  
გეგმიდან გამომდინარეობენ.

ნაციონალისტების ლიდერი ვესტარპი  
აღნიშნავს, რომ ნაციონალისტები სას-  
ტიკ ოპოზიციაში იქნებიან მთავრობის  
მიმართ და თავისი პარტიის სახელით  
უნდობლობას უცხადებს მთავრობას, რად-

გან მისი პროგრამა არ შეიცავს მუხლს კომუნისტებთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ და სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი ექსპერტების მიმართ, ვესტრაში დაჯინებით მოითხოვს საფრანგეთის ჯარების გაყენას გერმანიის ქალაქებიდან და გერმანიისთვის გარანტიების მოც მას, რომ ფრანგები არ შეუწყობენ ხელს გერმანიისგან რეინისა და რურის ოლქის ჩაწოდების ცდებს.

ვესტრაში განაცხადა: „ნაციონალისტები მონაწილეობას მიიღებენ იმ მთავრობაში, რომელიც ბრძოლას გამოუცხადებს სოციალ-დემოკრატებს.

სოციალ-დემოკრატი ლებე იცავდა ექსპერტთა გეგმის მიღების აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ ნაციონალისტები, მიუხედავად მაღალი ფრაზებისა, საბოლოო ანგარიშით იწონებენ შტრეზემანის პროგრამას. ლებემ განაცხადა, — და ამისთვის ის მხურვალე ოცაქიებით დააჯილდოვეს მემარჯვენეებმა და ცენტრმა, — რომ კომუნისტების გამოსვლა რეინსტაგის გსსნის დღეს, მოხდა „დაკვეთით“, რასაც ზურგს შეაქცევს მთელი მუშათა კლასი. ლებე გამოსთქვამს იმედს, რომ ინგლისში და საფრანგეთში ძალაუფლების მკლანაღდისა და ერობის ხელში გადასვლის გამო დადგება მშვიდობიანობის ხანა ევროპაში, როგორც მაჩვენებელი დემოკრატიის გამარჯვებისა სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით.

ლებეს პასუხი გაცა კომუნისტმა ქალმა დემუტატმა რუტა ფიშერმა. მან განაცხადა: მთავრობის წრეები სოციალ-დემოკრატებთან ერთად ამზადებს ფართე კოალიციას მუშათა კლასის წინააღმდეგ. კომპრტია სასტიკ ბრძოლას უცხადებს ექსპერტთა გეგმებს, ამით აიხსნება ის დევნა, რომელსაც მთავრობა მიმართავს კომპარტიის მიმართ. ავ დევნას მიზნათ აქვს კომპარტიის სრულად განდევნა პოლიტიკური ასპარეზიდან.

მხოლოდ ბურჟუაზიასთან ბრძოლით განთავიუფლდებიან მუშები იმ უღლიდან, რომლის დადებას უმზადებს მას ექსპერტთა გეგმის მიღება. მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ დაამყარებს გერმანიის პროლეტარიატი ნამდვილ მშვიდობიანობას და კავშირს შეკრავს საბჭ. კავშირთან, ამ კავშირზე მოიპტვრევის კბილებს საერთაშორისო კაპიტალი იმ მოპენტიდან, რაც სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ ექსპერტთა გეგმებს, მათ არა აქვთ უფლება თავის თავს უწოდონ მუშათა პარტია.

ტეტონელების ლიდერი გრეფე ამბობს, რომ მარქსის კაბინეტის დაბრუნება მოწმობს დემოკრატიისა და პარლამენტის გაკოტრებას. გრეფე მოითხოვს ექსპერტების გეგმის უარყოფას და პასიური წინააღმდეგობის განახლებას.

ერთხანს ძალიანი მწვავე ხასიათი, მილო ოსმალეთ-იტალიის დამოკიდებულებაში და ჰაერში თოფ-წამლის სუნი გაჩნდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში კონფლიქტი კვლავ მიწვდნა და გათავდა იტალია-ოსმალეთის ურთიერთ მორიგებით.

იტალიის ფაშისტები მთლად გათავებდნენ.

მღელვარე სცენები და სკანდალები იტალიის პარლამენტში გრძელდება. წარსულ კრებაზე ფაშისტებმა ასტებეს ღრიალი და არ მისცეს ლაპარაკის საშუალება კომფრაქციის ორატორებს: ჯენარის და მათვის.

გაზეთები „უნიტა“ და „ავანტა“ სწერენ, რომ ფაშისტები გაძრაბ აწყობენ სკანდალებს, რომ სახელი გაუტეხონ პარლამენტს და ამით გაუადვილონ მთავრობას მისი სრულიად გაუქმება.

ფაშისტური პროფკავშირების კომიტეტი მოლინლაში აიძულებს მუშებს დასთანხმდნენ სამუშაო დღის 12 საათამდე გადიდებაზე.

დამოკიდებულება იაპონიისა და ამერიკის შორის წარსულ კვირის ბოლომდე თანდათან მწვალებოდა.

იაპონიიდან მიღებული ცნობით, შეერთებული შტატების ელჩმა დასტოვა ტოკიო.

„დეილი-მეილის“ კორესპონდენტის ცნობით ტოკიოდან, ანტი-ამერიკულმა მოძრაობამ იაპონიაში განვითარების უზღლის წერტილს მიადწია.

ხალხი შეიჭრა სასტუმროს დარბაზში, სადაც ჩვეულებრივთ იმართებოდა უცხოეთის კოლონიის საღამო, ხალხმა შესწყვიტა ცეკვა და სასტიკი პარტესტი განაცხადა ამერიკის პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხმა მოითხოვა ამერიკელების განდევნა იაპონიიდან. იაპონიის პოლიციას არ მიუღია არავითარი ზომები. იაპონიის პრესამ იცოდა ინციდენტის შესახებ, ვინაიდან ფოტოგრაფები წინასწარ გაზავნა სასტუმროში

ბრბო შეიჭრა ამერიკელების სახლებში, პოლიციას არ მიუღია არავითარი ზომები.

ვაშინგტონში ოფიციალური წრეები არავითარი მნიშვნელობას არ აძლევენ ამ

ამბებს, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის მთავრობა შემარკებელ პოლიტიკას აწარმოებს. ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის მთავრობა მიიღებს შესაფერ ზომებს ამერიკის მოქალაქეთა დასაცავად თავდასხმისაგან.

ამერიკა ბოლო დროს მოტყდა და მან უკან წაიღო ამერიკაში იაპონელების შესვლის ამკრძალავი კანონი.

ფრანგი სოციალისტები საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე არიან.

ამატერდამის ინტერნაციონალის მდივანმა, ფრანგმა სოციალისტმა ეუოქ „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„მე მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობას. ამას მოთხოვ აგრეთვე საფრანგეთის პროფკავშირები. მოლაპარაკება საფრანგეთის მომავალ მთავრობასთან არავითარ გართულებას არ გამოიწვევს. ერთად ერთი დაბრკოლებად შეიძლება გახდეს მეფის ვალების გათხადის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ერობის განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობის შესახებ მეტად ბუნდოვანია, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ერობა საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობის მომხრეა. საერთოდ საფრანგეთის პროფკავშირები მოითხოვენ, რომ მომავალი მთავრობის პროგრამაში შეტანილი იქნეს მუხლი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ეკონომიური და ფინანსიური სადაო საკითხები შეიძლება განხილული იქნეს შემდეგ.“

## ქ რ მ ნ ი კ ა

➔ წარმოების სხვა და სხვა დარგში კვლავ გრძელდება მუშების მიერ ნ. ქორდანის წერილის საპასუხო რეზოლუციების გამოტანა

➔ 7 ივნისს ტფილისში გაიხსნა საქართველოს გლეხკომების წარმომადგენელთა თათბირი.

➔ უახლოეს ხანში თფილისში დაიწყებს მოქმედებას საავარაკო კოოპერატივი.

➔ 14 ივნისიდან თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდება მოსწავლეთა აკადემიური წმენდა.

† ტფილისის აღმასკომის პლენუმზე სამუშაოთა უფროსმა რ.ე. ჭიჭინაძემ გააკეთა მოხსენება მტკვარზე საგუბარის გაკეთების შესახებ. მთელი მუშაობა და-

სრულებული იქნება 1925 წ. 1 იანვრი-სათვის.

საქ. ს. ს. რ. ბიუჯეტი. 23—24 წლის მეორე ნახევარის განმავლობაში, საქ. სახკომსაბჭომ საბიუჯეტო ფონდი გაანაწილა უწყებებს შორის შემდეგი სახით: ცაკს ჯამაგირებისათვის და სოც. დაზღვევის საქმისათვის—4,354 მან. და 56 კ. მასვე სხვადასხვა ხარჯებისათვის—15,000 მან., სახკომსაბჭოს—23,460 მ. და 56 კ. 123,230 მან., შინავ. საქ. სახ. კომისარიატს—221,693 მან. 51 კ. და 94,000 მან., იუსტიციის სახკომისარიატს—239,095 მ. 19 კ. და 42,000 მან, სახგანკომ—1,623,707 მან. 12 კ. და 372,000 მ., მიწაღმოქ. კომისარიატს—5,987 მან. 24. კ. და 67,000 მან., სოც. უზრ. კომისარიატს—13,579 მ. 69 კ. და 12,770 მან. ცენტრ. სტატ. სამმართველოს—102,194 მან. 81 კ. და 47,000 მან. სულ ჯამაგირებისათვის (ხელფასისათვის) 2,372,000 მან.

**სხვა და სხვა**

ელჟარდ ერიომ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე, სანამ მიღერანი არ წავა.

მიღერანმა კაბინეტის შედგენა მიანდო ფინანსისტ მარსალს.

მარსალმა შეადგინა მთავრობა, მაგრამ პალატაში ბირველ გამოსვლისთანავე დაემხო მისი მთავრობა.

პალატამ შესწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკება მიღერანთან.

პარასკევს ვერსალში უნდა მომხდარიყო ახალი პრეზიდენტის არჩევა მიღერანის მაგივრად.

კომუნისტები დიდ კომპანიას ეწეოდნენ მიღერანის წინააღმდეგ.

საფრანგეთში მთავრობის კრიზისის პარიზის პრესამ მთელი რეჟიმის კრიზისი უწოდა.

ახალ პრეზიდენტად ასახელებენ სენატის თავჯდომარე გასტონ დუმერგს.

თეთრ-გვარდიელები ძალიან შეშფოთებულნი არიან საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესაძლებლობით.

კომპარტია საფრანგეთისა მოითხოვს დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლებას.

ამსტერდამის პროფკავშირების ყრილობა დასრულდა.

ინგლისის პროფკავშირებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემა.

კონგრესზე მთავარი საკითხი იყო დამოკიდებულება პროფინტერნთან.

მოსულის კონფერენცია საბოლოოდ დაიხურა.

იტალია-ოსმალეთის კონფლიქტი მორიგებით დამთავრდა.

მონგოლეთში გამოცხადდა რესპუბლიკა.

19 ივლისს შესდგება შევეიის კომპარტიის საგანგებო ყრილობა.

ლატვიაში დაიწყო მებქდაეების საერთო გაფიცვა; გაზეთები არ გამოდის.

ბერმანიის მთავრობამ აკრძალა კომუნისტების ყრილობა ლიბკიგში.

კომუნისტების მიმართ გერმანიაში სასტიკი ზომებია მიღებული.

ალბანეთის მთავრობა გაიქცა ალბანეთის სატახტო ქალაქიდან.

აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი და აიღეს ქალაქი ტირანი.

იაპონიის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ვიკონტი კატოს.

იაპონია-ამერიკის დამოკიდებულება თანდათან მწვავედება.

ბრზოებმა იაპონიაში მოახდინეს ამერიკის საწინააღმდეგო გამოსვლა.

პოლონეთში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები მთავრობის წინააღმდეგ.

იქვე გრძელდება ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა. ამის გამო საბჭოთა კავშირის მთავრობამ ნოტიო მიმართა პოლონეთის მთავრობას.

შესდგა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

2 ინტერნაციონალის აღმასკომმა მოიწონა ექსპერტთა გეგმა, ამავე აღმასკომმა მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა.

ტოკიოს კინემატოგრაფის მებატრონებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკულ ფილმებს. სხვებსაც მოუწოდებენ ასეთი ნაბიჯის გადადგმისაკენ.

ჩინეთის მეცნიერები ღიდის ალტაციებით და ოვაციებით შეხვდნენ ამხ. კარახანს.

ჩინელების მრავალ რიცხოვანი მიტინგი მიესალმა საბჭოთა კავშირს.

მთავრობის (ჩინეთში) წრებში ალტაციებულნი არიან საბჭოთა კავშირის პოლიტკით ჩინეთის მიმართ.

უნგრეთში გაფიცულია 30 000 მუშა.

საქსონიაში დაითხოვეს 30.000 კაცი.

ინგლისში გაფიცვის ტალღა თანდათან ძლიერდება.

ლონდონში სრულიად შეწყდა რკინის გზის მოძრაობა.

გაფიცვა გაგრძელდება მუშების ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე.

ფაშისტები მოითხოვენ 12 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

იტალიის პარლამენტში ფაშისტები აწყობენ სკანდალებს: იტალიაში აგრეთვე ხდება ანტიფაშისტური გამოსვლები.

ოსმალეთი ბულგარეთთან და ისპანიასთან დებს ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ.

უკანასკნელი ცნობით ამერიკამ უკან წაიღო იაპონელების ამერიკაში შესვლის აკრძალვის კანონი.

ბელორუსიაში გაიხსნა ესერების პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა.

**წერილი რადეკის მიმართ**

1903 წლიდან მე ვეკუთნოდი სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას და განუწყვეტლივ ვმუშაობდი 1920 წლამდე. 1920 წლიდან ხსენებულ პარტიის უსაზღვრო უმგვანო და საზოხლარ საქციელმა მე მიიძულა დავშორებულეყავ მას. ამ დღიდან აქობამდის მე ვიყავ უპარტიოთ და ამ ხნის განმავლობა საკმარისი იყო ჩემთვის დავრწმუნებულეყავ საკმარისათ, რომ კომუნისტური-პარტია არის ერთად ერთი ქეშმარიტი პარტია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მუშათა კლასის განთავისუფლება სისხლის მწოველ და მძარცველ ბურჟუაზიის კლანჭებიდან. ამიტომ მე დღეიდან ზურგს ვაქცევ სოციალ დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და მსურს ჩემ ყოფილ ამხანაგებთან ერთად ვიმუშაო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს პროლეტარულ დიკტატურას.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლიუციას.

აღუქსანდრე გიორგის-ძე ანებოვია.

სარედაქციო კოლეგია:	ნ. ჩლაიძე.
	ა. ფარნივეი.
	ა. რუხაძე.
	კ. თოფაძე.
	გ. ვარდოიანი.